

K 3347

დ. ლორთქითანიძე



დიდი ჩეხი  
პედაგოგი-კლასიკოსი  
იან ამოს კომენცი



საქართველოს სსრ პოლიტიკური და გეცნიერული ცოდნის  
გამავრცელებელი საზოგადოება

პროფ. გ. ღორეთიშვილი

373.001(00)

რ 852

ერთ ჩეხი კერაზოგი-კრასიკოსი  
იან კამე კომენსკი

დაბადების 365 წლისთავის ბაზო

სერია I  
№ 10



თბილისი - 1957





მთელს მსოფლიოში ცნობილი XVII საუკუნის ჩეხი პედაგოგი, პროგრესულ-დემოკრატიული პედაგოგიური მეცნიერების ფუძე-მდებლი, დიდი ღიღაქტიკოსი, მოაზროვნე და ჰუმანისტი იან ამოს კომენსკი მარქსამდელი პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია და მას დამსახურებულად უკავია საპატიო ადგილი პედაგოგის კლასიკოსთა შორის.

იან ამოს კომენსკის სახელი მახლობელი და ძვირფასია არა მარტო ჩეხი ხალხისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ცნობილი ჩეხი ისტორიკოსი ფ. პალაცკი კომენსკის საესებით სწორად აკუთვნებს „ყველა დროისა და ყველა ხალხთა სახელოვანი ადამიანების რიცხვს“.

კომენსკი იყო „ჩეხ ძმათა საზოგადოების“ წევრი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, ჩეხი ხალხის სასახელო შვილის იან ჰუსის იდეების ერთგული მიმდევარი. მის მოძღვრებაში ხორციესმულია დემოკრატიზმი და ფართო ჰუმანიზმი, შრომისა და მშრომელი ხალხისადმი პატივისცემა, თავისი სამშობლისადმი უსაზღვრო სიყვარული და კაცობრიობის ნათელი მომავლის ურყევი რწმენა, ყველა ხალხის უფლებებისადმი პატივისცემა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისაკენ მისწრაფება. კომენსკი დაუღალავ ბრძოლას ეშვოდა „ბნელეთში შუქის“ შესატანად; ყოველივე ამის გამო მას სდევნიდნენ შუა საუკუნეების ფეოდალური შავბნელი ძალები.

მაგრამ ხალხი სათუთად ინახავდა კომენსკის მოძღვრებას და დარწმუნებული იყო, რომ იგი დიდებას მოიხვეჭდა. ხალხის ეს რწმენა და სურვილი მკაფიოდ არის გამოხატული კომენსკის დიდი თანამედროვის, გამოჩენილი ფილოსოფოსის ლაიბნიცის ლექსში, რომელიც ასე მთავრდება:

„მოვა დრო, პოი, კომენსკი, როს შენ და შენ ღვაწლს,  
ფიქრებსა და ანდერძს რჩეული ხალხი შენ დაგიფასებს“.

ასეთი დრო დადგა კიდეც, როცა კაცობრიობის ისტორიაში დიდი  
ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ახალი ერა — ადა  
მიანის მიერ ადამიანის ექსპლოტაციის მოსპობისა და ახალი,  
თავისუფალი და ნათელი ცხოვრების, სოციალისტური საზოგადო-  
ების მშენებლობის ერა. კომენტარის სახელი განსაკუთრებული ძალით  
ელერს ამჟამად, როცა მისი მრავალტანჯული სამშობლო ჩეხოსლო-  
ვაკია საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით სამუდამოდ განთავისუფ-  
ლებულია უცხოელი დამპურობლების — კოლონიზატორების სამას  
წელზე მეტი ხნის მონობის ულლისაგან და თავისი კომუნისტური  
პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ბედნიერ და ბრწყინვალე  
ცხოვრებას, როცა კომენტარის სუკეთესო უცნებებმა და იმედებმა  
ფრთხები შეისხა და პოვა დიდი ხნის ნანატრი ნიადაგი, რომელიც  
უზრუნველყოფს „ადამიანში ადამიანის“, „შრომისმყვარე და სა-  
მართლიანი ადამიანის“ აღწრდას, სკოლის გადაქცევას „სქოლას-  
ტიკური ლაბირინთიდან“ „ადამიანობის სახელოსნოდ“.

კომენტარის უმდიდრესი პედაგოგიკური მემკვიდრეობა, უწინარეს  
ყოვლისა მისი „დიდი დიდაქტიკა“, „პანსოფიური სკოლა“, „დე-  
დობრივი სკოლა“, „კარგად ორგანიზებული სკოლის კანონები“,  
„სქოლასტიკური ლაბირინთიდან გამოსავალი“, შესანიშნავი სა-  
ხელმძღვანელო „გრძნობადი სამყარო სურათებში“ და ბევრი სხვა,  
მარტო წარსულს კი არ ეკუთვნის, არამედ, რაც მთავარია, მიუ-  
ხედავად ეპოქის მიერ შეზღუდული მათი მხარეებისა, ისინი განა-  
გრძობენ სიცოცხლეს ჩვენს თანადროულობაში და იცოცხლებენ  
საუკუნეების განმავლობაში მთელი მსოფლიოს პროგრესული პედა-  
გოგიკური თეორიისა და პრაქტიკის საკეთილდღეოდ.

ჩეხოსლოვაკის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მი-  
ნისტრი დოქტორი ფრ. კაგულა 1956 წლის 21 ოქტომბერს  
ქ. უგორსკი-ბროდში კომენტარის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით  
წარმოთქმულ სიტყვაში სწორად ამბობდა: „საყოველთაოდ ცნობი-  
ლია, რომ ჩვენ, მეცნიერული სოციალიზმის მომხრეები და ადა-  
მიანთა პროგრესის ნოვატორები, ცოდნას ვერაფებით არა მარტო  
ნამდვილი ცხოვრების წყაროდან, არამედ მას ვნახულობთ და ვი-  
დენთ წარსული დროის ცხოვრების სიბრძნილანაც. დღეს ჩვენ ამი-  
ტომ ვიგონებთ ჩეხი ხალხის ერთ-ერთ სასახლო შეილს, მოაზროვ-  
ნეს, XVII საუკუნის დიდ პედაგოგსა და დემოკრატს, „ხალხთა მას-  
წავლებელს“ იან ამოს კომენტარის. კომენტარის ბევრი აზრი და შეხე-  
დულება უკვე მოძველდა, ბევრიც დიდი ხანია ცხოვრებაში დამკ-  
6

კიდრება და ამჟამადაც მოქმედებს, ბევრისათვის კი მხოლოდ ახლა  
არის ნიადაგი მომზადებული და მის მცენ წამოყენებული ბევრი  
საკითხი მხოლოდ ამჟამად შეიძლება და კიდევაც უნდა გადა-  
წყდეს“.

კომენსკი და მისი პედაგოგიკური მოძღვრება ფართო პოპუ-  
ლარობით საჩვენებლობს საბჭოთა კავშირში. ჯერ კიდევ რევოლუ-  
ციამდელ რუსეთში მოწინავე მეცნიერ-პედაგოგები თარგმნიდნენ  
კომენსკის საუკეთესო ნაწარმოებებს, წერდნენ გამოკვლევებს მის  
შესახებ და ხელს უწყობდნენ პედაგოგიკური თეორიისა და პრაქ-  
ტიკის გამდიდრებას დიდი პედაგოგის მრავალწახნაგოვანი პედა-  
გოგიკური მოძღვრებით.

იან ამოს კომენსკიმ დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავში-  
რის ხალხთა პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაზე; ასე, მა-  
გალითად, კომენსკის სახელი ფართოდ იყო ცნობილი საქართვე-  
ლოში განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მის მო-  
ძღვრებას დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე, ქართული პედაგოგი-  
კის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი და სხვები. შეიძლება გადაუ-  
კარგდებლად ითქვას, რომ ი. გოგებაშვილმა არა მარტო კარგად  
იცოდა კომენსკის მოძღვრება, არამედ მისი მიმდევარი იყო და  
თავისი უკვდავი „დედა ენის“, „აგრეთვე „რუსკოე სლოვოსა“ და  
„ბუნების კარის“ შედგენაში შემოქმედებითად გამოიყენა კომენ-  
სკისა და რუსი პედაგოგის კ. უშინსკის მიერ დამუშავებული ძირი-  
თაღი დიდაქტიკური და შეთოდიკური პრინციპები.

კომენსკის მემკვიდრეობის შესწავლისა და კრიტიკულად ათვი-  
სებისათვის განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაჩაღდა საბჭოთა ხე-  
ლისუფლების პირობებში. კომენსკის თხულებები გამოდის რუ-  
სულ ენაზე, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, კომენ-  
სკის შესახებ დაიწერა რიგი მეცნიერული მონოგრაფიები, მისი  
პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლას თვალსაჩინო ადგილი  
უკავია უმაღლესი პედაგოგიკური სასწავლებლების პედაგოგიკის  
ისტორიის კურსში და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ რაც უფრო წინ წავა სკოლა და პედაგო-  
გიკური მეცნიერება, მით წუფრო გაიზრდება კომენსკისა და მისი  
უმდიდრესი პედაგოგიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობა. აი რა-  
ტომ არ შეიძლება დიდი სიხარულის გრძნობით არ მივესალმოთ  
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებას 1956--1958  
წლებში კომენსკის იუბილეს ჩატარების შესახებ მისი დაბადების

365 წლისთავისა და უკვდავი ნაწარმოებების — „დიდი დიდაქტიკისა“ და „გრძნობადი სამყარო სურათებში“ — გამოქვეყნების 300 წლისთავთან დაკავშირებით. ეს იუბილე უდავოდ ხელს შეუშეობს დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის მოძღვრების შემდგომ ლრმა შესწავლასა და გავრცელებას.

\* \* \*

იან ამოს კომენსკი დაიბადა 1592 წლის 28 მარტს მორავიაში, ქ. უქერსკი — ბროდის მახლობლად მდებარე დაბა ნიენიცაში. მისი ოჯახი იყო „ჩეხ ძმათა საზოგადოების“<sup>1</sup> წევრი და თავის თავს თვლილა ცნობილი ჩეხი პროტესტანტისა და კათოლიკური ეკლესიის სასტიკი მოწინააღმდეგის იან ჰუსის მიმდევრად.

1604 წელს კომენსკის გარდაცვალა დედ-მამა და ორი და ამის შემდეგ მისი აღზრდა იკისრა ერთმა ახლო ნათესავმა ქალმა, რომელიც ქ. სტრაუნიცაში ცხოვრიბდა. აქ იგი მიაბარეს ზემოაღნიშნული საზოგადოების სკოლაში, სადაც სწავლება წარმოებდა მშობლიურ ჩეხურ ენაზე. მაგრამ ერთი წლის შემდეგ კომენსკი იძულებული გახდა სკოლისათვის თავი გაენგებებინა. სამი წლის შესვენების შემდეგ, 1608 წელს, მან „ჩეხ ძმათა საზოგადოების“ დახმარებით შეძლო შესულიყო ქ. ფრშეროვის ლათინურ სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1611 წ. აქ კომენსკის საკუთარი გამოცდილების მიხედვით გამოუმუშავდა ნათელი წარმოდგენა სწავლების მთელი შუასაუკუნეობრივი სისტემის სიმახინჯისა და ანტიხალხური ხასიათის შესახებ, სისტემისა, რომელიც მთლიანად გამსჭვალული იყო დოგმატიზმითა და სქოლასტიკით. კომენსკის, მისივე სიტყვებით რომ ვთვათ, „მაშინ დაებადა ძლიერი სურვილი, რომ მოენახა გამოსავალი ამ სამწუხარო მდგომარეობიდან, რათა ცოდნა გადაქცეულიყო საყოველთაო საკუთრებად და აღვილად შესათვისებელი ყოფილიყო მოზარდებისათვის“.

კომენსკიმ ბრწყინვალე ნიჭი გამოიჩინა. ქ. ფრშეროვის ლათინური სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა გერნბონის უნივერსიტეტში და სწავლობდა „ძმათა საზოგადოების“ ხარჯზე. ამ უნივერსიტეტში წამყვანი ადგილი ეჭირა კალვინისტურ მიმართულებას ლვოსმეტყველებაში, რომელიც ბევრი რამით ახლოს იდგა „ბოჭემის ძმათა საზოგადოების“ რელიგიურ შეხე-

<sup>1</sup> ეს საზოგადოება ცნობილია „ბოჭემის ძმათა საზოგადოების“ სახელითაც.

დულებებთან. კომენსკიზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა უნივერსიტეტის პროფესორაა ალმერი ქრისტიანული, ქილიაზმის ფორმით ქადაგებდა სოციალურ თანასწორობას — ამქვეყნად ადამიანის ბედნიერებას და სწორედ ამით თავისი დროისათვის პროგრესული მსოფლმხედველობის მატარებელი იყო. ამავე უნივერსიტეტში სწავლის დროს კომენსკიმ საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური ფილოსოფია, განსაკუთრებით ძველი მსოფლიოს ისეთი გამოჩენილი მთაზროვნების თხზულებები, როგორიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე. იგი გაიტაცა ზგრეთვე ციცეონის, სენეკას, კვინტილიანეს, პეტრე რამუსის, ლუდვიგ ვინცესისა და სხვათა ნაწარმოებების კითხვამ. კომენსკი განსაკუთრებით დააინტერესა კოპერნიკის თხზულებამ „ციური სხეულების წრიული ბრუნვის შესახებ“, რომელმაც იგრეთვე დიდი როლი შეასრულა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ყოველივე ამის შედეგად კომენსკი უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს გამოიჩინდა არა მარტო როგორც ფრიად ნიჭიერი, არამედ როგორც ფართო ერუდიციის მქონე სტუდენტი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა. წიგნების კითხვის დროს მის მიერ 1613 წ. გაეკთებული ჩანაწერები, რომლებიც გამოქვეყნებულია კომენსკის თხზულებათა ბრუნის გამოცემის პირველ ტომში სათაურით „ფილოსოფიის ბალში შეკრებილი სადაცო საკითხები“, მოწმობს კომენსკის დიდ ცოდნას ფილოსოფიის დარგში. კომენსკის სტუდენტობისდროინდელი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მცირე ზომის გნოსეოლოგიური შრომა, რომელიც უბათუხებს კითხვას „ყოველგვარი ცოდნა იღებს თუ არა თავის საწყისს შეგრინებიდან?“.

კომენსკი ჯერ კიდევ 1613 წლს, ბეკონის ცნობილი ფილოსოფიური ტრაქტატის — „ახალი ორგანონის“ გამოქვეყნებამდე 7 წლით ადრე, არა მარტო იყენებს ხალხურ ფილოსოფიურ გამნათქვამს „არაფერი არ არის გონებაში ისეთი, რაც უწინ შეგრძნებაში არ ყოფილა“, არამედ იცავს ამ მატერიალისტურ-სენსუალისტურ დებულებას უმთავრესად ინდუქციის საბუთებით.

კომენსკი ენას თვლიდა ხალხის ქმნილებად, მის უდიდეს საგანძურად და თავგამოდებით იცავდა ბშობლიურ ენას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში სერიოზულად იმუშავა დიდ ფილოლოგიურ თხზულებაზე „ჩეხური ენის საგანძურო“. ამ ნაშრომმა, რომელმაც ჩეხნამდე ვერ მოაღწია, — იგი დაიწვა ლეშნოში მომხ-

დარი ხანძრის დროს, — კომენსკის სახელი გაუთქვა როგორც ფილოლოგს. უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდს განეკუთვნება აგრეთვე მისი დიდი წამოწყება მთელი ჩეხი ხალხისათვის მისაწვდომ მშობლიურ ჩეხურ ენაზე ენციკლოპედიის შესაქმნელად, რომელსაც უნდა მოეცვა ცოდნის ყველა ძირითადი დარგი. ამ წიგნის — „სამყაროს სანახაობის“ ცალკეული თავები შემდეგ იპოვნეს და გამოაქვეყნეს.

1613 წელს კომენსკიმ დაამთავრა გერბორნის უნივერსიტეტი და იმოგზაურა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მოგზაურობის დასრულების შემდეგ მან გადაწყვიტა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შესვლა. კომენსკი ამ უნივერსიტეტში რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდა, შემდეგ კი ავაღმყოფობის გამო იძულებული გახდა თავი მიენებებინა მისთვის და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1614 წელს კომენსკის ნიშავენ ქ. ფრშეროვში ლათინური სკოლის ხელმძღვანელად. იგი ამ სკოლაში წინათ თვითონ სწავლობდა და იქ მიიღო საშუალო განათლება. ახალგაზრდა კომენსკიმ აქ მიიღო პირველი პედაგოგიური წრთობა, იქ შეიყვარა პედაგოგის უკათილშობილესი პროფესია და აქვე დაადგა მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია მიეძღვნა „ადამიანში ადამიანის“ აღზრდის დიადი საქმისათვის, მთელი ძალები შეეწირა თავისი სამშობლოს, თავისი ხალხისაღმი თავდადებული სამსახურისათვის. პედაგოგიურ სამუშაოზე კომენსკიმ მალე გამოიჩინა თავი არა მარტო როგორც ნიჭიერება პრაქტიკოს-პედაგოგმა, არამედ როგორც აღზრდისა და სწავლების თავისი დროისათვის ყველაზე უფრო პროგრესულ საწყისებზე გარდაქმნის ახალი გზებისა და მეთოდების შემოქმედებითმა მასივებლმაც. ამ სკოლაში მუშაობისას მან დაწერა მეთოდიკური ხასიათის თავისი პირველი შრომა „უურო აღვილი გრამატიკის წესები“, რომელიც მიმართული იყო ლათინური ენის გრამატიკის სქოლისტიკურ-დოგმატიკური შესწავლის წინააღმდეგ.

1616 წელს, როცა კომენსკის 24 წელი შეუსრულდა, „მათა საზოგადოება“ ირჩევს მას მღვდლად, ხოლო 1618 წელს გადაჰყავთ ჩეხეთის ქალაქ ფულნეკში მღვდლის თანამდებობაზე და ამავე დროს „ჩეხ (ბოჭემიის) ძმათა საზოგადოების“ სკოლის რექტორად. მან იქ დიდი მუშაობა გააჩარა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ეს ის დრო იყო, როცა კათოლიკური რომი ცეცხლითა

და მახვილით სპობდა ყოველივე პროგრესულს მეცნიერებასა და იდეოლოგიაში. ამის ნათელსაყოფად საქმარისია გავიხსენოთ ჯორ-დანო ბრუნოს დაწვა კოცონებე 1600 წელს, გალილეო გალილეის პირველი გასამართლების პროცესი, დიდი ასტრონომის კოპერ-ნიკის მოძღვრების განქიქება და რომის ინკვიზიციის მიერ მოწი-ნავე მსოფლმხედველობით გამსჭავული დიდი აღამიანების მიმართ ჩადენილი საშინელებანი.

ჩეხეთისათვის მთლიანად და „ძმათა საზოგადოებისათვის“ გან-საკუთრებით მიმდე მდგომარეობა შეიქმნა მაშინ, როცა ითვეთქა ეგრეთ წოდებულმა ოცდაათწლიანმა ომმა (1618 — 1648), რომლის სულასხამდგმელი იყო რომის კათოლიკური ეკლესია. გარკვეული სახოგადოებრივ-ბოლიტიკური ძალების ამ რელიგიურ სამოსელში გახვეულმა კლასობრივმა ბრძოლამ თავის ორბიტში ჩაითრია ჩე-ხეთიც, რომლის ჯარება 1620 წელს გაანადგურეს თეორ მთას-თან. ჩეხეთის დამარცხებას მოჰყა „ჩეხ ძმათა საზოგადოების“ გა-ნადგურება. 1621 წელს ცეცხლით გადაბუგეს ქალაქი ფულნეკი. დაიწვა ის სახლიც, სადაც ცხოვრობდა კომენსი ი, ფერფლად იქცა ყველა მისი ხელნაწერი და მთელი ბიბლიოთეკა, ხოლო თვითონ კომენსკი იძულებული გახდა დამალულიყო ქალაქის მიღამოებში. 1622 წელს ოპით გამოწვეული შავი წირით დაიღუპნენ კომენსკის მეუღლე და ორი ბავშვი. კომენსკიმ, რომელიც დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში თითქმის არალეგალურ მდგომარეობაში იმ-ყოფებოდა, დიდი ტანჯვა-წამება გადაიტანა. მას განსაკუთრებით სტანჯავდა უბედურება თავისი ხალხისა და თავისი სამშობლოსი — ჩეხეთისა, რომელმაც ყველაზე მეტად განიცადა კათოლიკური რე-აქციის სიმკაცრე როგორც ქვეყანამ, სადაც რეფორმაციულმა მოძ-რაობამ ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, როგორიც არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მიუღია.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, კომენსკი არასოდეს არ და-ცემულა სულით, იგი ძამაცურად უმჯლავფებოდა ყოველგვარ უბე-დურებას და განავრძობდა ა-ტიურ მოლვა ეობას როგორც „მმო-ბის“ წევრებს შორის თავისი სამშობლოს უფლებებისა და დამოუ-კიდებლობის ოლდგენისათვის, ისე აღზრდისა და სწავლების საკით-ხების დამუშავების დარღვში. ამ პერიოდში იგი წერს თავისი დრო-ისათვის ბრწყინვალე ფილოსოფიურ-სოციალურ ტრაქტატს „წუთი-სოფლის ლაბირინთი და გულის სამოთხე“, რომელშიც ჰუმანური და დემოკრატიული პოზიციებიდან გამოაშვარავებულ ა წოდებ-

რივ-კლასობრივი წყობილების მთელი საშინელებანი და შისი სოციალური და მორალური საფუძვლები, ამავე პერიოდში იგი იძლევა თავისი უკვდავი „დიდი დიდაქტიკას“ ძირითად მონახაზებს.

მაგრამ კომენსკისა და მის სამშობლოს ახალი უბედურება და-ატყდა თავს: 1627 წლის ივნისში გამოვრდა იმპერატორის ბრძანებულება, როთაც უკველა მათ, ვინც უარს განაცხადებდა კათოლიკური სარწმუნოების მიღებაზე, წინადადება ეძლეოდა დაეტოვებინა ჩეხეთი. ბრძანებულებით დადგენილი ვადის გასვლის ზემდევ ჩეხპროტესტანტთა 30.000 ოჯახმა და მათ შორის კომენსკიმ დატოვეს მშობლიური ქვეყანა, მგზებარე პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალულები შეჩერდნენ მის საზღვართან, მთის მწვერვალებიდან ერთხელ კიდევ მოავლეს თვალი საყვარელ სამშობლოს, დაიჩინეს მუხლებზე, „ცრეილებით მორწყეს მშობლიური მიწა“ (კომენსკი) და გამოეთხოვნენ მას იმ სურვილით, რომ მალე ენახათ თავისუფალი ჩეხეთი.

სამშობლოდან გაძევებული დიდი პატრიოტი კომენსკი, რომელიც თავის საყვარელ სამშობლოს ცრემლებით გამოეთხოვა, 42 წლის განმავლობაში, თავის სიცოცხლეში, ვერ ეღირსა მშობლიური მიწის ხილვას. მან მთელი თავისა ნიჭიდა უნარი მოახმარა მშობლიური ქვეყნის განთავისუფლებასა და კეთილდღეობის საქმეს ისე, რომ თვით კომენსკის სიტყვებით რომ ვთქავა, იმყოფებოდა „არა სამშობლოში, არამედ მუდამ მოუსვენარ მოგზაურობაში“.

კომენსკი თავის თანამებამულებთან, „ჩეხ ძეათა საზოვალოების“ მრავალრიცხვან წევრებთან ერთად დასახლდა ქ. ლეშნოში (პოლონეთი). აქ იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა გიმნაზიაში, რომლის რექტორად 1635 წელს ის აირჩიეს. იმავე დროს კომენსკი დიდ მუშაობას ეწეოდა საზოგადოების ხაზით.

ქ. ლეშნოში მოღვაწეობის პერიოდში კომენსკიმ დაასრულა თავისი „დიდი დიდაქტიკა“, რომელიც ჩეხურ ენაზე დაწერა და შემდეგ თვითონვე თარგმნა ლათინურ ენაზე. „დიდი დიდაქტიკა“ ლათინურ ენაზე გამოვიდა 1633 წელს, ჩეხური ხელნაწერი კი მხოლოდ 1841 წელს იპოვეს და პირველად გამოიცა პრაღაში 1849 წ. ამავე პერიოდს განეკუთვნება აგრეთვე კომენსკის ისეთი შრომები, როგორიცაა „დელობრივი სკოლა“, რომელიც მან ჩეხურ ენაზე დაწერა 1628 წელს და პირველად ლაიფციგში გამოიცა გერმანულ ენაზე 1630 წელს. ეს შრომა, თითქმის იმავდროულად, 1632 წელს პოლონურ ენაზე დაიბეჭდა ქ. ლეშნოში.

1631 წელს კომენსკიმ გამოსცა ლათინური ენის სახელმძღვანელო „ენათა და ყველა მეცნიერების ლია კარები“, რომელიც მაღვე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. როგორც კომენსკის ბევრი მეცნიერი სამართლიანად მიუთითებს, „კომენსკის რომ მხოლოდ ეს ერთი წიგნი გამოეცა, იგი მაშინაც კი უკვდავყოფდა თავის სახელს“.

1632 წელს გამოჰყენდა კომენსკის წიგნი „ტიზიკა“, რომელ-შიც შევიდა აგრეთვე მისი ნაშრომი — „ასტრონომია უნდა რეფორმირებულ იქნეს ფიზიკის შუქჩე“. ქ. ლეშნოში კომენსკის ყოვნის პერიოდს განეუთვნება მითი სხვა წიგნებიც. როგორიცაა „პანსოფიის მომასწავებელი“, „ბედნიერების მშედელი, ანუ თავისი თავისადმი რჩევის ხელოვნება“ და სხვ.

შეორმოცე წლების დასაწყისში კომენსკი მიიწვიეს ჯერ ინგლისში, სადაც მან დაწერა წიგნი „ქვეყნის გზა“, შემდეგ — შევ-ციაში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. 1650 წელს კომენსკი თავისი ოჯახით დასახლდა უნგრეთში, ქ. საროს-პატოკში, და აქ გაშალა დიდი პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობა, აგრეთვე დაწერა რიგი შრომები: „ბუნებრივ ნიჭიერებათა კულტურის შესახებ“, „პანსოფიური სკოლა“, „მკადრეთით აღმდეგარი ფორუმია, ანუ სკოლიდან უძრაობის განცევნის შესახებ“, „საგნების ზუსტი სახელ-დების სარგებლობის შესახებ“, „ქცევის წესები“, „გარგარ ორგანიზებული სკოლის კანონები“ და სხვ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მთელს მსოფლიოში განთქმული მისი სახელმძღვანელო „გრძელბადი სამყარო სურათებში“, რომელიც პირველად გამოჰყენდა 1657 წელს.

1654 წელს კომენსკიმ დატოვა საროს-პატოკი და ლეშნოში დაბრუნდა. მაგრამ მალე, 1656 წელს, ქ. ლეშნო დაარბიეს და გადაბლებეს ფანატიკოს კაი თლიკებმა. კომენსკი, რომელმაც თავშესაფარი დაკარგა, იძულებული გახდა ემოგზაურა ევროპის სხვა-დასხვა ქვეყანაში. 1657 წელს ამსტერდამში გამოვიდა მისი შრომა „Opera didactika homnia“. კომენსკის ამსტერდამში მოუხდა სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება. სიცოცხლის ბოლო ხანებში დაწერილ მის ნაშრომთაგან უნდა აღინიშნოს — „ერთი აუცილებლობის შესახებ“, რომელშიც იგი საფუძვლიანად და ამა-ღელვებლად აჯამებს თავის მრავალფეროვან ცხოვრებას და ღრმად არის დარწმუნებული თავისი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალში.

კომენსკი გარდაიცვალა 1670 წლის 15 ნოემბერს, დასაფლავებულია ამსტერდამის მახლობლად ნაარდენში.

1892 წელს რიგ ქვეყნებში, პედაგოგიურ საზოგადოებათა ინიციატივით, საზეიმოდ აღინიშნა კომენსკის დაბადების 300 წლის-თავი. იუბილემ საგრძნობლად შეუწყო ხელი კომენსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობის პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში.

\* \* \*

იან ამოს კომენსკი ცხოვრობდა და პედაგოგიურ სარბიელზე ხანგრძლივ ნაყოფიერ პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობას ეწეოდა XVII საუკუნეში. ეს საუკუნე სერთოდ ევროპის და კერძოდ ჩეხეთის ისტორიაში ცხობილია როგორც ფეოდალური საზოგადოების შიგნით აშეარა ბრძოლის დაწყების საჯუცხე; ჩალდება ბრძოლა ფეოდალიზმსა და განვითარების გზაზე დამდგარი და სულ უფრო მზარდი კაპიტალიზმის ჩანასახებს შორის.

ძველ ფორმას, ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას არ შეეძლო თავის თავში მოეთავსებინა ახალი შინაარეი — წიზმოების კაპიტალისტური წესის განვითარება, პირიქით, იგი ბორკილებს წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის, რომელაც თავის მძრით თვით ამ ფორმის წიაღში ჩაისახა და რამდენადმე განვითარდა.

მრაველობის მრავალფეროვანი დარგების განვითარება ანადგურებდა და ცვლიდა ფეოდალური ეკონომიკის საფუძვლებს.

წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებამ შეარყია ფეოდალური ეკონომიკის საფუძვლები. მან შეარყია და შეცვალა ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-პოლ ტიკური საღუძველი და სწორედ ამით დააჩქარა ფეოდალიზმის აღრე დაწყებული დაშლა.

XVI — XVII საუკუნეებში ბურჟუაზიასა და ფეოდალური ფორმაციის გაბატონებულ კლასებს შორის არსებულმა ძირითადმა წინააღმდევობამ ძოიცვა მოსახლეობის ყველა ფენა. კაპიტალიზმის ჩანასახების განვითარებასთან ერთად თვით გაბატონებული კლასები თვისებრივად უცვე იუთებად აღარ რჩებიან, როგორიც წინათ იყვნენ. „ამ პიონობებში არსებითად შეიცვალა სახე შუა საუკუნეებიდან გადმოცემულმა კლასების მდგომარეობამ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ფ. ენგლ სი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 28 (რუს. გამოც.).

ეპოქის ყველა სოციალური წინააღმდეგობა მკვეთრად გამოილონდა გლეხობისა და პლებეური მოსახლეობის უკმაყოფილებაში რამაც აშეარა ბრძოლა გამოიწვია. ეს ბრძოლა მთელი ძალით შეუძრთდა რეფორმაციულ მოძრაობას, რომელმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა ფორმით მოიცვა ფირობის თითქმის ყველა ქვეყანა. იგი წარმოადგენდა არა მარტო რელიგიურ ბრძოლას, კათოლიკიზმასა და რომის პაპის წინააღმდეგ იდეოლოგიის სფეროში; პირველ რიგში და უწინარეს ყოვლისა რეფორმაციული მოძრაობა იყო სოციალური მოვლენა, ომელსაც საფუძვლები ჰქონდა მატერიალურ კლასობრივი ინტერესებსა და წინააღმდეგობებში. „XVI საუკუნის ეგრეთ წოდებული რელიგიური ომების დროს საკითხი იდგა უწინარეს ყოვლისა ფრიად დადებითი მატერიალური კლასობრივი ინტერესების შესახებ“<sup>1</sup> — წერს ენგელის.

კომენტარის სამშობლო ჩეხეთი XVI — XVII საუკუნეებში ეკონომიური მხრით ევროპის ერთ-ერთი ძოწინავე ქვეყანა იყო. ჩეხეთში უკვე XII საუკუნიდან ფართო ხასიათს იღებს შრომის დანაწილება ქალაქება და სოფელს შორის, ჩნდება შანგანი ბაზარი. მამულებში ნატურალურ ბეგარას თანდათანობით ცვლის ფულადი ბეგარა. იწყება ქვეყნის მინერალურ სიმდიდრეთა დამუშავება. კუტენბერგის ვერცხლის საბადოს აღმოჩენის შემდეგ (1237 წ.) ჩეხეთში ერთგვარი ახალი ერა იწყება ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. XIV — XV საუკუნეებში ევროპის არც ერთი (ინგლისის გამოკლებით) ეკონომიურად ისე სწრაფად არ ვრთარდებოდა, როგორც ჩეხეთი: წარმატებით ვითარდება ვაჭრობა, ხელოსნობა, ქვეყანა იფარება დასახლებული პუნტების ახალი ქსელით, ჩნდება და იზრდება ქალაქები (პრაღა, კუტენბერგი და სხვ). ამ ეკონომიურ მოძრაობაში ებმებიან სასულეურო და საერთო ფიანდალები, რომლებიც თავიანთ მეურნეობებს აადა ყაიდაზე გარდაქმნიან და ახალ სამეურნეო პირობებს ეფუძნებიან.

ჩეხეთისა და მასთან დაკავშირებული მორავის ეკონომიურ ძლიერების ზრდის მეოხებით მატულობს ამ ქვეყნების პოლიტიკური წონა და მნიშვნელობაც. გერმანიის მეფეები იძულებული ხდებიან სერიოზული ინგარიში გაუწიონ ჩეხეთს.

ჩეხეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ზრდასთან ერთად იფურჩქნება კულტურაც, ვითარდება პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება. ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში არსდება უნივერსიტეტი (1348 წ.),

<sup>1</sup> ფ. ენგელის, გლეხთა ოში გერმანიაში, გვ. 40.

რომელიც წარმოადგენს არა მარტო საგანმანათლებლო ცენტრს, არამედ ახალი სოციალური იდეების ცენტრსაც.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ჩეხი ხალხი განიცდიდა ნამდვილად მხეცური ექსპლოატაციის მთელ სიმძიმეს, ერთი მხრით, მიწათმფლობელი არისტურატიისა და ქალაქის პატრიციელისაგან და, მეორე მხრით, კათოლიკურ არისტოკრატიისაგან. ამავე დროს იგი მწვავე ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა გერმანელ ფეოდალ-დამპურობთაგან.

ამ სოციალურ-კლასობრივმა, ეროვნულმა და რელიგიურმა წინააღმდეგობებმა, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა XV საუკუნის დასასრულისათვის ბატონყმური წყობილების საბოლოო დამყარებით, ხოლო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ხელის-უფლების სათავეში გაბსძურების მოსვლით და იეზუიტიზმის გამეფებით, ხალხი აამდედრა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ ვაათერებული ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა ჩეხეთში რამდენიმე საუკუნის განპავლობაში წარმოებდა რელიგიური ომების სახით. თაბორიტების მოძრაობის დაძარკების შედეგ (1434 წ.) მათი მომხრეებისაგან ხელმეორედ მონათლულთაგან (ანაბაზტისტებისა-გან) ჩეხეთში წარმოიშვა „ბოჭემიის ძაბათა საზოგადოება“ (1467 წ.). „ბოჭემიის ძმების“ მოძღვრებას საფუძვლად დაედო ჰუსის (1369 — 1415) და პეტრე ხელჩიცის (1390 — 1460) მოძღვრება<sup>1</sup>.

ხელჩიცი არ კმაყოფილდებოდა მარტო ეკლესიის რეფორმით, როგორც ჰუსი. იგი ჰუსზე უფრო შორს მიდიოდა და თავისი მოთხოვნების სიმძიმის ცენტრი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეთიკის სფეროში გადაჰქინდა. იგი მოითხოვდა არა მარტო ახალ ეპლესიას, არამედ უმთავრესად ააალ სახელმწიფოსაც. ხელჩიცი, ეყრდნობოდა რა საღვთო წერილს, აკრიტიკებდა არსებულ სახელმწიფოებრივ და რელიგიურ წყობილებას და წერდა: „ამგვარად, ქრისტეს ერთი კანონი სავსებით საქმარისი იყო პირველ ქრისტიანთა საზოგადოებების თავიდან ასაცილებლად და, ხელმძღვანელობდნენ რა ამ კანონით, ისინი წარმატებებს აღწევდნენ ზნეობრივ დარღვევი, მაგრამ შემდეგ, როცა მას შეერია ორი კანონი — სამოქალაქო და პაპისა, ზნეობრიობამ დაქვეთება დაიწყო“<sup>2</sup>. შემდევ ხელჩიცი დასძენს: „ამ ორმა ვებაპმა (იმპერატორმა და პაპმა. — დ. ლ.) გახია სარწმუნოების ბადე“.

<sup>1</sup> რუსულ ენაზე არსებობს ხელჩიცის თხულებანი, რომ ეგბიც თარგმნილია. ანგლოვის მიერ და გამოცემულია. იაგნიჩის შეავალი წერილით, 1893 წ.

<sup>2</sup> П. Хельчицкий, Сочинения, „Свет веры“, стр. 147.

ხელჩიცები თავის თხზულებებში ყველგან აკრიტიკებს კათოლიკურ ექლესიას, განსაკუთრებით კი „ორი მღვდლის — ნიკოლოზისა და მარტინისადმი წერილში“. კომენსკი, რომელზედაც ამ თხზულებამ დიდი გავლენა მოახდინა, მას „ოქტოს თხზულებას“ უწოდებს. ზემოაღნიშვნულ წერილში ხელჩიცები მღვდლებს სთხოვს, რომ ისინი იყვნენ ღვთის ერთგული და ფრთხილი შვილები. იმავე ღროს იგი თავს ესხმის მაშინდელ სამღვდელოებას, „ვინაიდან მღვდლები დაუმეგაბრდნენ ქვეყანას და შეუერთდნენ მას და ახლა კი მსოფლიოს დამახინჯებულად აცხობებენ სალგოთ წმიდათა წმიდას იმის გამო, რომ თვითონ დამახინჯებულად ესმით ღვთის სამსახური“... „ქრისტეს სიტყვის ძალით ჩვენ არ უნდა უსმენდეთ სულელ მღვდელს...“ „მათ მიერ ჩვენთვის გადმოცემული საიდუმლოებანი უმოქმედოა“.

„ბოჭემიის ძმებშა“ წამოაყენეს რიგი პედაგოგიური მოთხოვნები და ცდილობდნენ, რომ ისინი პრაქტიკულად განეხორციელებინათ. ეს მოთხოვნები იყო: ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა, ზრუნვა ფიზიკურ აღზრდისა და საკოლო ცხოვრების ჰიგიენურობაზე, ბავშვების მონაწილეობა შრომაში, ყველა ბავშვისათვის წერა-კითხვის სწავლება და ა. შ. „ბოჭემიის იმათა“ ამ მოთხოვნებისან კომენსკიმ ბევრი რამ გამოიყენა თავის პედაგოგიურ სისტემაში.

ეპოქის ყველა წინააღმდეგობამ ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებასა და იდეოლოგიაში ამა თუ იმ ფორმით თავისი გამოხატულება პოვა იან ამოს კომენსკის მსოფლმხედველობასა და მის პედაგოგიკურ მოძღვრებაში მთლიანად.

კომენსკის მსოფლმხედველობის ამოსავალი წერტილია ქრისტიანული რელიგია, მაგრამ არა შუასაუკუნეობრივი ოფიციალური კათოლიკური საეკლესიო რელიგია, არამედ სექტანტურ-ქრისტიანული რელიგია, რომელიც იმ ჯროისათვის იცვლებოდა ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე ხაზი კომენსკის მსოფლმხედველობაში — ესაა რეალისტური ტენდენცია საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების ახსნაში. ორივე ეს „ხაზი“ წარმოადგენს კომენსკის მთელი მსოფლმხედველობის ორმაგი ხასიათის ანარეკლს. ამ ორმაგობას კომენსკი ამჟღავნებს ყველა პრობლემის გადაწყვეტის ღროს.

კომენსკის აზრით, არსებობს ორი ჭეშმარიტება, რომლებიც თვით ღვთისაგან მომდინარეობენ. ერთი ჭეშმარიტება, რომელიც

უშუალოდ უმაღლესი გონიერისაგან გამოდის, ესაა ლოგიკური ჰემ-  
პარიტება. მეორე კი ბუნებიდან გამომდინარეობს. პირველს ეწვდე-  
ბით ზეშთაგონების გზით, მეორეს — შეგრძნებით. პირველისათვის  
ადამიანს მოეპოვება სულის თანდაყოლილი უნარი (ლოთის იდეა,  
კომენსკის აზრით, თანდაყოლილია), მეორე ჭეშმარიტებისათვის  
ადამიანს აქვს სხვადასხვაგვარი უნარი, რომელთა მეშვეობით იგი  
შეიცნობს ბუნების ჭეშმარიტებას.

ბუნება ამჯევეყნიური ბედნიერების წყაროა. ეს წყარო რომ რა-  
ციონალურად იქნეს გამოყენებული, საჭიროა გვქონდეს ცოდნა.

როგორ ხორციელდება შემეცნება? შეიძლება თუ არა მხოლოდ  
წიგნებიდან, — პლატონის, არისტოტელესა და სხვა ფილოსოფო-  
სების შრომებიდან შეიცნოს ადამიანმა სამყარო; რეალური სინამ-  
დვილე? კომენსკის, ისე როგორც ბრუნოს, ბექონსა და სხვებს,  
რეალური ცოდნის წყაროდ თვით ბუნება შიაჩნია. იგი წერს: „განა  
ჩვენ არ ვცხოვრობ სწორედ ისევე, როგორც ჩვენამდე არსე-  
ბულნი, ბუნების ბალში? მაშ რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ჩვენც  
ისევე კარგად, როგორც მათ — თვალებით, ყურებით, ცხვირით,—  
რატომ გავეცნოთ ბუნების ქმნილებებს სხვა მასწავლებლების მეშ-  
ვეობით და არა ჩვენი საკუთარი გრძნობებით? რა მიზეზის გამო,  
ვამბობ მე, ჩვენ არ შეგვიძლია მევდარი წიგნების ნაცვლად გადავ-  
შალოთ ბუნების ცოცხალი წიგნი, რომელიც შეუდარებლივ უფრო  
მეტს მოიცავს, ვიდრე ოდესმე შეეძლო ჩვენთვის მოეთხრო ვინმეს,  
ვინც გაინდა ყოფილიყო ის? ამავე დროს საკუთარ უშუალო ჭრე-  
ტას ჩვენთვის შეუდარებლივ მეტი სიამოვნება და სარგებლობა  
მოაქვს. გარდა ამისა, ჩვენ მრავალი საუკუნის გამოცდილებით  
შორს გავუსწარით: არისტოტელეს“. კომენსკიმ სავსებით სწორად  
შეაფ. სა სამყაროს ახსნის მნიშვნელობა და იმდროიდელი ფილო-  
სოფოსების უსუსურობა ამ საქმეში. თავის „წუთისოფლის ლაბი-  
რინთსა და გულის სამოთხეში“ იგი მწარედ დასკინის იმ ფილო-  
სოფოსებს, რომლებსაც არ ძალუდთ ახსნან სამყარო იმ სახით,  
როგორიც იგი სინამდვილეშია.

შეუძლია თუ არა ადამიანს ბუნების შეცნობა? შემეცნების რა  
შესაძლებლობებია ადამიანის განკარგულებაში? ადამიანი, კომენ-  
სკის აზრით მთელი ბუნების პატარა ნაწილია, მაგრამ იგი საგნებზე  
მაღლა დგას იმით, რომ არის „უმაღლესი ქმნილება და სულის მა-  
ტარებელი“, და ეს ადამიანს აძლევს შესაძლებლობას გახდეს გო-  
ნიერი არსება და იბატონოს ბუნებაზე. „ამგვარად, შეიცნე, რომ

შენ ხარ ქმნილებათა სრული დაგვირგვინება, საუცხოო მიკრო-  
კოსმი და ლვთის მოადგილე ჩემს ქრისტიანული შორის, ჩემი დიდე-  
ბის გვირგვინი<sup>1</sup> — ამბობს კომენსკი.

როგორია შემეცნების გზა კომენსკის აზრით?

კომენსკი წერს: „შემეცნების დასაწყისის ყოველთვის და აუცი-  
ლებლად შეკრძნებებიდან გამომდინარეობს, რადგან გონებაში არა-  
ფერია ისეთი, რაც პირველად შეგრძნებებში არ ყოფილიყოს“<sup>2</sup>.  
შემეცნების ამოსავალი საჭყისის ამ განსაზღვრებაში კომენსკი მა-  
ტერიალისტური სენსუალიზმის პოზიციებზე დგას. მაგრამ შეც-  
დომა იქნებოდა კომენსკისთან დაგვეწყო შემეცნების თანამიმდევ-  
რული მატერიალისტური თეორიის ძიება, ოოგორც ამას ხშირად  
სჩადიან ზოგიერთი ისტორიული, პედაგოგი და კომენტატორი.  
ასე, მაგალითად, კომენსკის აზრით, ჰეშმარიტების კრიტერიუმი  
შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენი გრძნობები: „ჰეშმარიტება და მეც-  
ნიერების უტყუარობა ზუსტად ასევე სავაზე არაფერზე არ არის  
დამყარებული, გარდა გრძნობათა მოწმობისა“. მაგრამ, მიუხედა-  
ვად ამისა, ეპოქის ხასიათმა, ერთი მხრით, და უშუალო პედაგო-  
გიურმა პრაქტიკამ, მეორე მხრით, კომენსკი აიძულეს შემეცნების  
თეორიასთან ერთად მოეცა რეალიზმის ელემენტები და დაახლო-  
ებოდა მატერიალისტურ სენსუალიზმს. თვითონ კომენსკი წერს:  
„ვინც ერთხელ ყურადღებით დაჰკვირვებია აღამიანის სხეულის  
ანატომიას, იგი უფრო სწორად გაიგებს და დაიმახსოვრებს ყვე-  
ლაფერს, ვიდრე ის, ვისაც ძალიან ვრცელი ახანა-განმარტებები  
წაუკითხავს, მაგრამ საკუთარი თვალით არ უნახავს. აქედან — ცნო-  
ბილი გამოთქმა „საკუთარი თვალით დანახვა ყველაზე დიდი სა-  
ბუთია“<sup>3</sup>.

საით უნდა მიისწრაფოდეს ბუნების, აღამიანისა და ლვთის  
შემეცნება? ეს საკითხი უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია კო-  
მენსკის ეთიკურ შეხედულებებთან. „ბოჭების ძმათა“ სექტის  
მიმდევრობა და კომენსკის მთელი მოძღვრების ორმაგობა თავის  
გამოხატულებას პოულობს მის ეთიკაშიც: ერთი მხრით, იგი ეშ-  
ვება ეთიკის ქრისტიანულ მეტაფიზიკურ პრინციპამდე. რაც იმაში

<sup>1</sup> იან ამ თს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, თარგმანი  
ლათინურიდან ივ გვაპარისა და ივ. ნიუარაძისა, დ. ლორთქენიფანიძის შესავალი  
წერილით, თბილისი, 1949 ამ წიგნში ყველა ციტატი „დადი დიდაქტიკიდან“  
შოკვანილია ზემოაღნინული გამოცემიდან.

<sup>2</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XX, 7.

<sup>3</sup> იქვე, თავი, XX, 9.

მდგომარეობს, რომ ადამიანის უკანასკნელი მიზანი ნამდვიოდ  
ცხოვრების ფარგლებს გარეთ მდებარეობს“ და მისთვის საჭიროა  
მომზადება, საჭიროა იყო „ფრთხილი, მორჩილი, სამართლიანი,  
წმინდა, ზომიერი, ღვთის ერთგული“<sup>1</sup> და ა. შ., მეორე მხრით —  
ერთგვარ ბურუჟაზიულ უტილიტიზმამდე, რომელიც ეპოქის  
მოთხოვნებით არის განპირობებული. კომენსკი ცდილობდა  
გადაეწყიტა და ეპოვა ადამიანის ზოგადი მიზანი როგორც „იმ-  
ქვეყნიური“, ისე რეალური ცხოვრებისათვის. სიბრძნის მიღწევის  
ამოცანა, კომენსკის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ყველანი  
იყვნენ მოწაფები „სიბრძნისმოყვარეობისა — იმ მეცნიერებისა,  
რომელიც ყველა გამოკვლევაში იძლევა ღვთიურ და ადამიანური  
საგნების ცოდნას“<sup>2</sup>.

ადამიანია დანიშნულების საკითხში ასეთი ორმაგობა მკვეთრად  
არის გამოსახული კომენსკის მსოფლმხე ფველობაში. პანსოფოსი —  
ესაა ღვთისა და მიწის, რწმენისა და რეალური ცოდნის ადამიანი.  
კომენსკის აზრით, სწორედ პანსოფოსის აღზრდა უნდა იყოს სკო-  
ლის, განათლებისა და სწავლების მთელი სისტემის იდეალი.

\* \* \*

კომენსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და  
რელიგიური მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო მის პედაგო-  
გიკურ მოძღვრებას და აღზრდისა და სწავლების ყველა საკითხი,  
რომელიც კომენსკიმ წამოაყენა, ამ მსოფლმხედველობის თვალ-  
საზრისით არის გადაჭრილი. ეს გასაგებიცაა: როგორც ცნობილია,  
მიზანიც, შინაარსიც, მეთოდებიც და სწავლებაც განისაზღვრება  
მოცემული საზოგადოების ამა თუ იმ კლასის სოციალურ კლასობ-  
რივი ინტერესებით. ამიტომაა, რომ ყველა დროისა და ყველა  
ხალხის ყველა პედაგოგი და მოაზროვნე თავის მოძღვრებაში აღ-  
ზრდის შესახებ მეტ-ნაკლებად მუდამ გაძოხატავდა ან იმ გაბატო-  
ნებული კლასის ინტერესებს, რომელსაც ისინი სოციალურად და  
იდეოლოგიურად უკუთვნოდნენ, ან იმ ანტაგონისტური კლასის  
ინტერესებს, რომელიც თავიანთ კლასობრივ ინტერესებს უპირის-  
ბირებდნენ გაბატონებული კლასის ინტერესებს ბავშვთა და მო-  
ზარდთა აღზრდისა და სწავლების დარგშიც.

<sup>1</sup> Я. А. Коменский, Лабиринт света и рай сердца. стр. 145.

<sup>2</sup> Я. А. Коменский, Открытая дверь языков, журн. „Гимназия“, 1893, 6 — 7.

კომენსკიმ, რომელიც „ბოჭემიის ძმათა“ სექტის მიმდევარი იყო  
და ფეოდალური საზოგადოების დაშლისა და წარმოების კაპიტა-  
ლისტური წესის ჩანასახების განვითარების პირობებში ცხოვრობდა,  
თავის მსოფლმხედველობაში ასახა ხელად წარმოშობილი ბურუჟა-  
ზის ინტერესები და ისინი გამოხატა თავის შეხედულებებში ალ-  
ზრდისა და სწავლების შესახებ.

გამოდის რა იქიდან, რომ ნამდვილი ცხოვრება, საღაც ადა-  
მიანის სულის სრულყოფა ხდება თავის სხეულში, წარმოადგენს  
„იმქვენიური და მარადიული ცხოვრებისათვის“ მომზადების არე-  
ნას, აგრეთვე იქიდან, რომ ადამიანი არსებობს სამნაირ ცხოვრე-  
ბაში (დედის წიალი, დედამიწა და კა), კომენსკი მიდის ადამია-  
ნის დანიშნულების და აქედან — ალზრდის მაზნების შემდეგ გაე-  
ბამდე: „ჭეშმარიტი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს  
ადამიანი, მდგომარეობს იმაში, რომ ის იყოს: 1) ყველა საგნის  
მცოდნე; 2) მფლობელი საგნებისა და თავისი თავისა; 3) აკუთ-  
ვნებდეს თავის თავსა და ყოველივეს ღმერთს, ყველა საგნის და-  
საბამს“<sup>1</sup>.

ამგვარად, კომენსკის აზრით, ადამიანი უნდა იყოს „ბრძენი“  
და ალზრდის მიზანია ბრძენი ადამიანის ალზრდა.

ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლება ამ მიზანს მივაღწიოთ,  
კომენსკის აზრით, შოზარდი თაობის ალზრდა და განათლებაა.

კომენსკი ალზრდაში ხედავს ფრიად მხიშვნელოვან ძალას და,  
მისი აზრით, ადამიანი შეიძლება ადამიანად გახდეს მხოლოდ ალ-  
ზრდის წყალობით. „ამგვარად, ნურავინ ნე იფიქრებს, — აბობძეს  
კომენსკი, — რომ ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ადამიანი, ვისაც  
ნასწავლი არა აქვს ადამიანის როლის შესრულება, ე. ი. დაძო-  
ლვრილი არ არის იმაში, რასაც ადამიანი აკეთებს“.

„ადამიანი რომ ადამიანად გახდეს, მან უნდა შიილოს განათ-  
ლება“<sup>2</sup>. „განათლებული ადამიანები ჭეშმარიტი ადამიანები არიან,  
ე. ი. აქვთ ადამიანური ზნე-ჩვეულებანი“<sup>3</sup>. „ადამიანისაგან ალზრ-  
დის გარეშე სხვა არა გამოვა რა, გარდა მხეცისა“. თავისი შეხე-  
დულებების დასამტკიცებლად კომენსკი იმოწმებს (და, მაშასადამე,  
იწონებს კიდევ) ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სიტყვებს:

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი IV, 6.

<sup>2</sup> იქვე, თავი VI, 3.

<sup>3</sup> Я. А. Коменский. Изб. пед. соч. т. II. „О культуре природных дарований“, стр. 122.

„ადამიანი არის ყველაზე თვინიერი და ღვთაებრივი ცხოველი, თუ ის მოთვინიერებულია ჭეშმარიტი აღზრდით; აღზრდის გარეშე კი ან ცრუ აღზრდით იგი ყველაზე მძვინვარე ცხოველია ყველა იმ ცხოველთა შორის, როგორიც კი შეიძლება დედამიწის ზუგზე იყოს“, და დაასევნის: „განათლება საჭიროა ყველასათვის“.

ამასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქენიოთ, რომ კომენ-  
სკის, მისი მეთოდოლოგიისა და ისტორიის მამოძრავებელი ძალე-  
ბის შეუგნებლობის გამო, არ ესმოდა, რომ აღზრდა და განათ-  
ლება წარმატებების საზოგადოების ჯონომიური ბაზისის ზედნა-  
შენს და რომ ისინი ვითარდებიან წარმოების წესებისა და წარ-  
მოებრივ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე და თავიე-  
ბურად; მას არ ესმოდა, რომ იმისათვის, რათა არსებითად გარ-  
დაქმნილიყო აღზრდის მთელი საქმე, საჭირო იყო ფეოდალური  
წყობილების დამხობა.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ახალი ადამიანის აღზრდა,  
კომენსკი აუცილებლად თვლიდა აღზრდის მთელი საქმე აგებუ-  
ლიყო საერთო კანონების შესაბამისად, რომლებიც გამეუბულია ბუ-  
ნებაში. კომენსკის ამ მოთხოვნით არის განსტეალული მთელი მისი  
პედაგოგიური მოძღვრება და ეს მოთხოვნა გადაქცეულია აღზრ-  
დისა და სწავლების ზოგად პრინციპიად. ეს პრინციპი ცნობილია  
ბუნებისშესაბამისობის პრინციპის სახელწოდებით, რომელიც ყვე-  
ლაზე დაწვრილებით კომენსკიმ დაადგინდა.

აღზრდაში ბუნებისშესაბამისობას კომენსკი საფუძვლად უდებდა  
ბუნებას მთლიანოდ, ადამიანის ჩათვლით, ვინაიდან, მისი აზრით,  
ადამიანი თავის განვითარებაში იმავე კანონებს ექვემდებარება, რომ-  
ლებსაც ემორჩილება ბუნება მთლიანიდ. მათასადამე, აღზრდაც, გა-  
ნათლებაც და სწავლებაც იმ პრინციპების მიხედვით უნდა, ვითარ-  
დებოდეს, რომლებსაც ემორჩილება ბუნების საერთო მსვლელობა.

ბუნებისშესაბამისობის იდეამ დიდი როლი შეასრულა შეა საუ-  
კუნებში სწავლებაში გაბატონებული სქოლასტიკისა და დოგმა-  
ტიზმის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლო-  
ბაში ამონდნენ ადამიანთა გონებას. უაზრო ზეპირობისა და დოგ-  
მატიზმის ნაცვლად ბუნებისშესაბამისობის პრინციპი მოითხოვდა  
სწავლების შესაბამისობას ბავშვის ბუნებასთან, მის შესაძლებლო-  
ბებთან იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო „წარმატებული“  
„მტკიცე“, „ადვილი“ და „სწრაფი“ სწავლება.

ამასთან ერთად, გამოლიოლა რა იმ დებულებიდან, რომ აღზრდა, განცთლება და სწავლება მიმართული უნდა იყოს სიბრძნის ფორმის. რებისაკენ აღამიანში, რომელშიც ჰარმონიულად უნდა იყოს შეერთებული რწმენა და ცოდნა, და რომ ადაპიანის განათლება და სწავლება უნდა წარიმართოს მისი ბუნებისა და მასში არსებული ბუნებრივი წესის შესაბამისად, კომენსკიმ წამოყენა პანსოფიის იდეა. კომენსკის პანსოფიის იდეაში ცენტრალური იდგილი ეჭირა მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სწავლება დაკავშირებული უნდა იყოს საგნების, რეალური სინამდვილის შემეცნებასთან და უბასუხებდეს ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნებს.

კომენსკის აზრით, ის სახელოსნო, სადაც უნდა გამოიჭედოს ადამიანის სიბრძნე, არის სკოლა. მაგრამ არსებული სკოლები კომენსკის არ აქმაყოფილებდა არა მარტო მიზნებითა და შინაარსით, არამედ სწავლების ფორმითაც. იგი წერდა. „სკოლები რომ ლაბირინთს წარმოადგენენ. ეს აშკარაა, ვინაიდან მათ არა აქვთ არავითარი საქმაოდ მყარო და გარეველი მიზანი; მიზნების მისაღწევად არ მოეპოვებათ არავითარი საშუალება; დასასრულ, საშუალებათა გამოსაყენებლად არ გააჩნიათ არავითარი გარეველი წესი“.

სკოლა არის ადამიანობის სახელოსნო, რომელშიც „ყველას უნდა ასწავლიდნენ ყველაფერს ამგვარად, სკოლა კომენსკისათვის არის განათლებისა და სწავლების ორგანიზაციის ცენტრი, რომელშიც აღწევენ მოსწავლეებში „ადამიანობის“, „სიბრძნის“ აღზრდას.

მაგრამ თუ არსებული სკოლები არ შეესაბამება დანიშნულებას, შეიძლება თუ არა სკოლების გარდაქმნა, მგვარად, რომ მათგან უკეთესი სკოლები მივიღოთ? — აყენებს საკითხს კომენსკი და ფრიად ოპტიმისტურად და მტკაცედ უბასუხებს: „სკოლების გარდაქმნა უკეთესი მიმართულებით შესაძლებელია“<sup>1</sup>. „ჩვენ გპირდებით, — წეოს კომენსკი, — სკოლების ისეთ მოწყობას, რომლის შემწეობითაც:

I. მთელი ახალგაზრდობა (იმათ გარდა, ვისაც ღმერთმა და-აქლო გონება) მიღებს განათლებას.

II. ისწავლის ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ადამიანი გარდაქმნას ბრძენ, პატიოსან და წმინდა არსებად.

<sup>1</sup> ი. ა. ჭომენხეკი, დიდი დიდაჭტიკა, თავი XII.

III. სწავლა, როგორც მომზადება ცხოვრებისათვის, დამთავრ-  
დება მოწიფულობის დაწყებამდე.

IV. სწავლა იწარმოებს ძლიერ იოლად და რბილად, თითქს  
თავისთავად, ცემისა და სიმკაცრის და ყოველგვარი იძულების გა-  
რეშე...

V. ახალგაზრდობა მიიღებს განათლებას არა მოჩვენებითს,  
არამედ ჭეშმარიტს, არა ზერელს, არამედ საფუძვლიანს...

VI. განათლებას მიიღებენ არა დიდი ძალ-ლონის დახარჯვის  
გზით, არამედ უაღრესად იოლი გზით<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კომენსკის ეს დებულებები რამდენადმე  
შეზღუდულია, მაინც მთელი სიცადით ჩანს, რომ მას სწორად ეს-  
მოდა სკოლის დანიშნულება და მისი აგების პრინციპები.

თავისი პანსოფისტური იდეის საფუძველზე და ბუნების შესაბა-  
მისობის პრინციპის თანახმად კომენსკი აყენებს სკოლის შემდეგ  
სისტემას:

„1. ბავშვობის, ე. ი. დედობრივი სკოლა — 6 წლამდე.

2. სიყრმის — ელემენტარული სკოლა — 6-დან 12 წლამდე  
(მშობლიურ ენაზე).

3. სიყმაწვილის — ლათინური სკოლა — 12-დან 18 წლამდე  
(ლათინურ ენაზე) ან გიმნაზია.

4. მოწიფულობის — აკადემია და მოგზაურობანი — 18-დან 24  
წლამდე“.

„1. დედობრივი სკოლა უნდა იყოს ყოველ სახლში.

2. მშობლიური ენის სკოლა უნდა იყოს ყოველ თემში, სო-  
ფელში, დაბაში.

3. გიმნაზია უნდა იყოს ყოველ ქალაქში.

4. აკადემია კი — ყოველ საიელმწიფოში ან ყოველ დიდ პრო-  
ვინციაში“<sup>2</sup>.

დედობრივ სკოლასა და მშობლიური ენის სკოლაში უნდა სწავ-  
ლობდეს ორივე სქესის ყველა ბავშვი, გიმნაზიებში — აღამიანები,  
რომლებსაც დასახული აქვთ რაღაც უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე  
ხელოსნად გახდომა, აკადემიაში კი უნდა სწავლობდნენ მომავალი  
მეცნიერები, სკოლის, სახელმწიფოს მმართველები და ა. შ. მიუ-  
ხდავად იმისა, რომ უმაღლესი და საშუალო სკოლა კომენსკის

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XXII, 3.

<sup>2</sup> იქვე, XXVII. 3.

სისტემაში გაბატონებულ ზედაფენებს ემსახურებიან, ეს სისტემა  
მაინც ბევრი რამით არის ძვირფასი. ჯერ ერთი. უნდა აღნიშნოთ  
მშობლიური ენის სკოლაში ორივე სქესის ბავშვთა საყოველთაო  
დიწყებითი სწავლების იდეა. მეორე — კომენსკის სისტემაში არ  
არის ის ორმაგობა, რომელიც დაქვიდრდა შემდგომი დროის კაპი-  
ტალისტური ქვეყნების სასკოლო სისტემებში. კომენსკის სასკოლო  
სისტემაში ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურის განგრ-  
ძობას წარმოადგენს, ე. ი. ალიარებულია ერთიანი სისტემის პრინ-  
ციპი და სწორედ ამაშია კომენსკის სისტემის დიდი მნიშვნელობა.

კომენსკი ავითარებს იმ იდეას, რომ სწავლება უნდა წარმოებ-  
დეს მშობლიურ ენაზე, ვინაიდან „საქმის სწორად წარმოების ნა-  
ცვლად შეცდომას უშვებენ მაშინაც, როდესაც ერთსა და იმავე  
გრამატიკულ წესებს ასწავლიან ყველა ეროვნების ახალგაზრდებს  
(ფრანგებს, გერმანელებს, ჩეხებს, პოლონელებს, უნგრელებს და  
სხვ.), მაშინ როდესაც ყველა ენას აქვს თავისი განსაკუთრებული  
და რამდენადმე თავისებური დამოკიდებულება ლათინურ ენასთან“<sup>1</sup>.  
კომენსკით აზრით, ეს შეცდომები გამოსწორდება, თუ მასწავლე-  
ბელი და მოწაფე ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე, თუ საგნების  
ყოველგვარი ახსნა-განმარტება წარმოებს ნაცნობ ენაზე, თუ მშობ-  
ლიური ენა წინ უსწრებს სხვა ენებს.

ამიტომ, — დაასკვნის კომენსკი, — „ჯერ, რასაკვირველია, მშობ-  
ლიური ენა, შემდევ კი ის ენა, რომელსაც იყენებენ მშობლიური  
ენის ნაცვლად, სახელდობრ — მეზობლების ენა, ვინაიდან გურ-  
დეს ასწავლოვნების უცხო ენა, სანამ ჯერ დედაენას შეითვისებ-  
დეს, უდრის იმას, რომ ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს  
ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს“<sup>2</sup>.

\* \* \*

კომენსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში უმნიშვნელოვანესი  
ადგილი უკავია დიდაქტიკას.

დიდაქტიკა, ანუ კომენსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სწავლე-  
ბის საყოველთაო ხელოვნება“ აუცილებლად საჭირო ხდება განსა-  
კუთრებით XVI — XVII საუკუნეებში, როცა ფართოვდება მეც-  
ნიერებათა წრე. ცალკეულ მეთოდურ მითი იქცებს გრამატიკასა.

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XVII, 272.

<sup>2</sup> იქვე, XXIX, გვ. 5.

და სხვა მეცნიერებებში არ შეეძლო პასუხის გაცემა ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანების შესაბამისად სწავლების პროცესის აგენტის ზოგად საკითხებზე. კომენს იმ, რომელსაც ესმოდა ეპოქის ეს ამოცანები, ისტორიაში პირველმა შექმნა დიდაქტიკის სისტემა, რომელსაც არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ ამჟამად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული ლირებულების მქონეა დემოკრატიულ საწყისებზე აგებული აღზრდისა და სწავლებისათვის.

ყველა პრობლემა, რომლებსაც კომენსკი აშუქებს თავის დიდაქტიკაში, განსაკუთრებით სწავლების თეორიის დარღვი, თავმოყრილია სწავლების მთელი პროცესის იმგვარად აგების ამოცანათა გარშემო, რომ იგი მიმღინარეობდეს წარმატებით, ადვილად უმოკლესი გზით (სწრაფად, მაღალ) და საფუძვლით იანად. კომენსკის დიდაქტიკური შრომები, დაწყებული „დიდი დიდაქტიკით“ და დამთავრებული თხზულებებით „ლაბირინთიდან გამოსავალი“ და „საგნების ზუსტი სახელდების მნიშვნელობის შესახებ“, მიმართულია იქითვენ, რომ გადაწყვეტილ იქნეს თანამედროვე სკოლის სასიცოცხლო პრობლემები. „დიდ დიდაქტიკაში“ სპეციალური თავებიც კი (XVI, XVII, XIX) მიძღვნილია კომენსკის მიერ წამოყენებული წარმატებული, აღვილი, სწრაფი და საფუძვლიანი სწავლების საკითხის გარევევისადმი. სწორედ ამიტომ ეს თავები შეადგენენ კომენსკის დიდაქტიკის ზულსა და გულს.

კომენსკისათვის წარმატებული სწავლება ნიშნავს: ვასწავლოთ ბავშვებს თავის დროზე (საფუძველი I), ვასწავლოთ საგნები სიტყვებზე აღრე (საფ. II), ბავშვმა სკოლაში ისწავლოს ბოლომდე (საფ. III), მოსწავლეები ერთდროულად სწავლობდნენ ერთ საგანს (საფ. IV), ბავშვებში ჯერ განვავითაროთ საგანთა გაგების უნარი, შემდეგ მეხსიერება და შემდეგ კიდევ — ენა და ხელი (საფ. V), ვასწავლოთ უმარტივესი ძირითადი საწყისებიდან კერძოობითისაგნ (საფ. VI), მეცადინეობა გავანაწილოთ დროის მიხედვით, სათანადო წესრიგით (საფ. VII), რათა მოსწავლეები სკოლაში რჩებოდნენ მის დამთავრებამდე, არ ტოვებდნენ მეცადინეობას და რომ თვითონ სკოლები იყოს სრულ წესრიგზე (საფ. VIII), სწავლობდნენ მთოლოდ იმ წიგნებით, რომლებიც განკუთვნილია მარტო ამ კლასისათვის (საფ. IX)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XVI.

ა ხალგაზრდობის სწავლება აღვილად წარიმართება, თუ სწავლება დაიწყება ადრე (საფ. I), თუ სწავლება იწარმოებს გონების სათანადოდ მომზადების დროს (საფ. II), თუ მიმართული იქნება უფრო აღვილიდან უფრო ძნელისაკენ (საფ. III), უფრო ზოგადიდან უფრო კერძოსაკენ (საფ. IV), თუ არავინ არ იქნება გადატვირთული სასწავლო საგნების ზომაზე მეტი რაოდენობით (საფ. V), მოსწავლეთა გონება წინ წავა უჩქარებლად (საფ. VI), თუ მათ არ ვაიძულებთ აქეთონ სხვა რამე, გარდა იმისა, რისკენაც ისინი მიისწრაფვიან თავითი ასაკისა და სწავლების მეთოდის შესაბამისად (საფ. VII)<sup>1</sup>.

საფუძვლით სასარგებლო საგნებს (საფუძველი I), ვასწავლით ყველაფერს ყოველგვარი დაკლების გარეშე (საფ. II), თუ ყველაფერს დაუცდებთ მტკიცე საფუძველს (საფ. III) და თუ ეს საფუძველი იქნება ღრმა (საფ. IV), შემდგომ ყველაფერი დაეყრდნობა ამ საფუძველს (საფ. V), ყველა დასაშვები განსხვავება დაემყარება წინამავალს (საფ. VII), ყველაფერი, რასაც ურთიერთკავშირი აქვს, მუდმივად შეერთდება (საფ. VIII), ყველაფერი წესრიგზე განლაგდება გონების, მესასიერების, ენის მიმართ (საფ. IX) და ყველაფრის განმტკიცება მოხდება მუდმივი ვარჯიშობით (საფ. X)<sup>2</sup>.

კომენტარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლების სიჩქარეს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სწავლების უმოკლესი გზის საფუძვლებისა და ზოგადი წესების გამომუშავებას. სწავლების უმოკლესი გზის შესახებ დაწერილ მთელ თავს კომენტარი ყოვს რვა პრობლემად, რომლებშიც მას უნდა დაამტკიცოს, რომ სწავლების უმოკლეს გზას მივაღწევთ მაშინ, თუ: ერთი მასწავლებელი იდგომება ერთი სკოლის ან, ყოველ შემთხვევაში, ერთი კლასის სათავეში (პრობლემა I), თითოეულ საგანში მიოლოდ ერთი ავტორის სახელმძღვანელო იქნება (პრობლ. II), მთელ კლასს ერთი და იგივე სამუშაო მიეცემა (პრობლ. III), ყველა მეცნიერება და ენები თუ ერთსა და იმავე მეთოდით ისწავლება (პრობლ. IV), თუ ყველაფერს ვასწავლით საფუძვლიანად, მოკლედ და დამაჯერებლად, ისე, რომ მნიშვნელობის გასაგებად გვჭონდეს თითქოს ერთი გასალები, რომლის საშუალებითაც საგანთა აზრი თავისთავიად ნა-

<sup>1</sup> ი. ა კომენტარი, დიდი დიდაჭრიკა, თავი XVII.

<sup>2</sup> იქვე, თავი XVIII.

თელი გახდება (პრობლ. V), ყველაფერს, რაც ერთმანეთთან კავშირში იმყოფება, ურთიერთთან ასევე დაკავშირებით ვასწავლით (პრობლ. VII), თუ ყველაფერს ვასწავლით განუწყვეტელი თანამიმღევრობით, ისე რომ დღევანდელმა მასალამ განამტკიცოს გუშინდელი და გზა გაუხსნას ხვალინდელს (პრობლ. VII), თუ ყოველივე უსარგებლო თავიდან იქნება მოცილებული (პრობლ. VIII)<sup>1</sup>.

კომენსკის, რომელიც თავის სწავლების თეორიას ბუნებისშესაბამისობის იდეის საფუძველზე აგებდა და თვლიდა, რომ სწავლების ძირითადი გზაა „ბუნებრივი მეთოდი“, არ შეეძლო გვერდი აევლო სწავლებაში ფსიქოლოგიური მომენტების მნიშვნელობისათვის. იგი თავის „შრომაში „სქოლისტიკური ლაბირინთებიდან გამოსავალი“ აშკარად ამბობდა, რომ საუკეთესო მეთოდია „ბუნებრივი მეთოდი“. იგი წერდა: „... აღმოჩენილია სხვა, უკეთესი, უფრო მოქნილი (მეთოდი სწავლებისა). რაში მდგომარეობს ის? მეგიბასუაებთ: ბუნებრივ მეთოდში, რომელიც გარეგანი და შინაგანი გრძნობებით ყველაფერს ისე წარმოადგენს, რომ მოსწავლეები ყოველივეს ითვისებენ ხალისითა და სიხარულით; იგი დამყარებულია თვით აღამიანის ბუნებაზე. მე გამტკიცებ, რომ აღამიანის ბუნება, რომელიც ლვარისა ჰავას, იქნება ის არიანას ძაფი, რომელიც, ვინაიდან საღაა და სწორი, მოქნილად მიიკლაკნება ყველა ხეეულში და რაკი ისეთი სიგრძე აქვს, რომ საკმარისია ყველა ლაბირინთისათვის, არასოდეს არ იყარება“<sup>2</sup> და ა. შ. და თუ კომენსკი ცალკეული დიდაქტიკური წესების გამომუშავებისას ანგარიშს უწევდა ბავშვის ბუნებას, უცველია, რომ მას არ შეიძლებოდა თუნდაც იძღროინდელი დონის შესაბამისად არ გაეთვალისწინება ბავშვისა და აღამიანის ცალკეული ფსიქიკური თვისებები.

ძირითადი საკითხი, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ სწავლების პროცესის კომენსკისეული ფსიქოლოგიური დასაბუთების თვალსაზრისით, არის მისი მოთხოვნა სწავლების შესაბამისობის შესახებ მოსწავლეთა განვითარების ასაკობრივ საფეხურებთან.

კომენსკის სწავლების თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისის შეადულებები სწავლების საფეხურების შესახებ და ამასთან დაკავშირებით თვით სწავლების პროცესის ფსიქოლოგიური შინაარსი.

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაჭირება, თავი XIX.

<sup>2</sup> Я. А. Коменский, Избр. пед. соч., I, „Выход из сколастических лабиринтов“, стр. 8 — 9.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში სწავლების საფეხურების საკითხის წარმოშობის ისტორიას შეცდომით უკავშირებდნენ პერბარტის სახელს. მაგრამ საქმე სრულიად სხვანაირად არის. სწავლების საფეხურების პრობლება პერბარტამდე მთელი სიგრძე-სიგანით დაყენა კომენსკიმ და გაცილებით უფრო სწორადაც გადაჭრა, ვიდრე პერბარტმა თავისი მცდარი მეტაფიზიკური დასკვნებით, რომლებსაც საფუძვლად ედო იდეალისტური ფსიქოლოგია,

გამოდიოდა რა თავისი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკიდან, აგრეთვე სენსაციზმის ძირითადი დებულებიდან, კომენსკი ყოველგვარი სწავლების „დასაბამად“ თვლიდა გრძნობითს აღქმას. ამასთან ერთად იგი კარგად ხედავდა, რომ ამით არ მთავრდება სასწავლო ობიექტის შემეცნება და რომ იგი, ეს გრძნობითი აღქმა, საჭიროებს ახსნა-განმარტებას. სწავლების ასეთ საფეხურად მას მიაჩნია აასნა. ზაგრამ არც ამით მთავრდება საქმე — ეს მხოლოდ განგრძნობაა. კომენსკის აზრით, სრული ცოდნის მიღწევა შეიძლება მაშინ, როცა ეს ცოდნა განმტკიცება მეხსიერებაში; რაცა მოსწავლეს შეეძლება იგი სულ უფრო უკეთ გაშოთქვას თავისი ენით და როცა ეს ცოდნა მოსწავლეთა მიერ გამოყენებული იქნება ცხოვრებაში. კომენსკისათვის ამ როლს ასრულებს ვარჯიშობა.

ამის შესაბამისად პირველი საფეხურია ადამიანის გარეგანი გრძნობები „საგნებზე სულ უფრო ნათელი დაკვირვებისათვის“. ეს გრძნობები ხუთია: მხედველობა, სპენა, გემოვნება, ყონსვა და შეხება; მეორე საფეხურის შესაბამისად — გონება „საგნებში სულ უფრო ლრმად ჩასაწვდომად“, მესამე საფეხურისათვის — მეხსიერება „სულ უფრო უკეთ შეთვისებისათვის“, ენა — „იმისათვის, რომ შეეძლოს გაგებულის რაც შეიძლება უკეთ გამოთქმა“, ხელები — „იმისათვის, რათა დაითი დღე სულ უფრო უკეთ, დახელოვნებით გააკეთოს, ის, რაც საჭიროა“<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კომენსკიმ მიუთითა სწავლების საფეხურების დიფერენცირების აუცილებლობაზე, ჯერ ერთი, ასაკობრივი საფეხურების შესაბამისად და, მეორეც, შესასწავლი საგნების, ე. ი. განათლების შინაარსის შესაბამისად.

სწავლების საფეხურების შესახებ კომენსკის მიერ წამოყენებული შეხედულებების საერთოდ პროგრესულ ხასიათთან ერთად არ შე-

<sup>1</sup> Я. А. Коменский, Издр. пед. соч., т. II, „Пансофическая школа“, № 62.

იძლება ხაზი არ გავუსვათ მათ ერთგვარ მექანისტურობას. უწინარეს ყოვლისა ბუნებრივად იბადება კითხვა: შეგვიძლია თუ არა დავუშვათ განკერძობული საფეხურები სწავლების პროცესში, როგორც ეს კომენსკის ესმის? ამ საკითხის გადაწყვეტა აღვილია შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე, რომელიც შემეცნების პროცესში განიხილავს ორგორც ადამიანის შეგნებაში ყოფიერების ასახვის ერთიან პროცესს. შემეცნების თეორიის ძირითადი ლენინური პრინციპი — „ცოცხალი მეტეტილან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ“<sup>1</sup> — წარმოადგენს საბჭოთა სკოლის დიდაქტიკის საფუძველს. ჩვენ არ ვაიგიავთ შემეცნების თეორიის ლენინურ პრინციპს ორგორც მეცნიერული შემეცნების პრინციპს სწავლების პროცესთან, მაგრამ მასზე ორგორც მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით გამოვგავს დასკვნა, რომ სწავლების პროცესი სკოლაში, პედაგოგიური პროცესი, არ შეიძლება შეიცავდეს ერთმანეთისაგან მკვეთრად განკერძობულ სწავლების საფეხურებს, ისიც ყველა კლასისა და გაკვეთილისათვის ერთნაირ საფეხურებს, ორგორც ეს კომენსკის ჰქონდა წარმოდგენილი.

საყველთაოდ ცნობილია ის დიდი მნიშვნელობა, რაც სწავლებისათვის აქვს ინტერესსა და ყურადღებას. ინტერესის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს სწავლების ინტენსიური პროცესი, ისე როგორც ყურადღების არარსებობა სრულიად შეუძლებელს გახდიდა პედაგოგიურ პროცესს.

აკრიტიკებდა ჩა იველ სკოლას, კომენსკი წერდა: „... მტკიცე საძირკველზე არ აფუძნებენ სწავლას ის მასწავლებლები, რომლებიც არ ზრუნავენ იმაზე, რომ მოსწავლეები პირველად ყოვლისა ცნობის-მოყვარენი და ყურადღებიანი გახდნენ“<sup>2</sup>.

კომენსკის ძალიან კარგად ესმოდა, რომ ცოდნის ათვისება მოსწავლეებისათვის ადვილი საქმე არ არის. ამასთან ერთად იგი ამაში ხდება აუცილებელ წყაროს ინტერესის განვითარებისათვის. „ყველა აფერი რომ ადვილად შეცნობადი იყოს ჯამბობს ნეტარხსენებული ავგუსტინე“, ჭეშმარიტებას სიხარულით არ აღმოაჩინდნენ“. მოსწავლეთა დაინტერესების წყაროს ასეთი გაგება კომენსკის ძალიან ახლოს მიჰყავს სტიმულაციის ფაქტორის სწორ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რევულები, 1936, გვ. 166 (რუს. გამოც.).

<sup>2</sup> ი. ა. კომენსკი, დადი დიდაქტიკა, თავი XVIII, 15.

გაგებასთან, რომელიც გულისხმობს სწავლებაში ისეთ იძულებას, რაც გადაიხრდება აუცილებლობის ფაქტორში. და, მართლაც კომენსკი წერს: „როგორი საქმიანობაც უნდა დაიწყოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გააღვიძოთ მოსწავლებში მისდამი სერიოზული სიყვარული, დაუმტკიცოთ ამ საგნის უკეთესობა, მისი სარგებლობა, მისი სასურველობა და სხვ.“.

მას შემდეგ, როცა მოსწავლე შევიდა სკოლაში, კომენსკის აზრით, მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველგვარი საშუალებებით „აღვაგზნოთ ყმაშვილში ცოდნის შეურვილი და გულმოდგინე ბეჯითობა სწავლაში“. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მასწავლებელმა სწავლება გახადოს „იოლი და სასიამოვნო“. ხოლო იმისათვის, რომ სწავლება იყოს იოლი და სასიამოვნო. კომენსკის აზრით, აუცილებელია მასწავლებელს ჰქონდეს უნარი „თავისეუნ მიიპყროს ყველა და თითოეული მოსწავლის ყურადღება“. „დარწმუნებული იმაში, რომ მასწავლებლის ბაგე წარმოადგენს (როგორც ეს სინამდვილეშია) იმ წყაროს, საიდანაც მათენ გაღმოჩეფს ცოდნის ნაკადულები, და დაინახავენ რა, რომ ეს წყარო ჩერეს, მოსწავლება მას უნდა მიაპყრონ მთელი ყურადღება, რათა არაფერი გამორჩეთ“<sup>1</sup>.

კომენსკის კარგად ეს მოდა სასწავლო საგნისა და სწავლების მეთოდის მნიშვნელობა მოსწავლეთა თავის სწავლების პროცესში ინტერესის შესაქმნელად. „თვით სასწავლო საგნებიც იზიდავს ახალგაზრდობას, თუ ისინი შეეფერებიან მოსწავლეთა ასაკს... თვით მეთოდი ყოველთვის და აუცილებლად ბუნებრივი უნდა იყოს“<sup>2</sup> და ა. შ.

კომენსკი სავსებით სწორად მიუთითებს იმაზე, რომ „თვით სკოლა უნდა იყოს სასიამოვნო ადგილი, იგი ისეთი უნდა იყოს როგორც შიგნით, ისე გარედან, რომ მიმზიდველ სანახაობას უშლიდეს ბავშვებს თვალწინ“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ კომენსკის არ დაუმუშავებია და არც შეეძლო დაემუშავებინა პედაგოგიკური ფსიქოლოგის საკითხები, მაინც მის ცალკეულ დებულებებს პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგიური დასაბუთების დარგში აქვს არა

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XIX, 19.

<sup>2</sup> იქვე, თავი XVII, 18, 19.

<sup>3</sup> იქვე, თავი XVII, 17.

მარტო ისტორიული ინტერესი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჩაი ჩვენი დროისათვის.

\* \* \*

კომენსკის მთელ დიდაქტიკურ მოძღვრებას თუ გავაანალიზებთ, ძნელი არ იქნება ვიპოვოთ მასში შემდეგი ძირითადი დიდაქტიკური პრინციპები: 1) თვალსაჩინოების პრინციპი, 2) თანდათანობისა და თანამიმღევრობის პრინციპი, 3) შეგნებულების პრინციპი და 4) ცოდნის სიმტკიცის პრინციპი.

თვალსაჩინოება სწავლებაში კომენსკისათვის არ წარმოადგენს სწავლების მეთოდს, როგორც ეს ხშირად შეცდომით ჰგონიათ, არამედ ის არის ერთ-ერთი დიდაქტიკური პრინციპთაგანი, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს სწავლების ყველა ცალკეული კერძო მეთოდი. უდავოა, რომ სწავლებაში თვალსაჩინოების პრინციპის საკითხის დამუშავება დიდაქტიკური თვალსაზრისით დაკავშირებულია კომენსკის სახელთან. კომენსკი წერდა: „თუ გვსურს მივცეთ მოსწავლეს ნამდვილი და მტკიცე ცოდნა საგანთა შესახებ, საერთოდ უნდა ვასწავლოთ ისე, რომ იგი ემყარებოდეს საკუთარ დაკვირვებას და გრძნობად აღწევას“<sup>1</sup> (ხაზგასმულია კომენსკის მიერ. — დ. ლ.)

უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწავლების თვალსაჩინოების პრინციპი კომენსკისთან მისი „ბუნებრივი მეთოდისაგან“ წარმოებული პრინციპია; მაშასადამე, ორმაგობა ამ პრინციპის როგორც გაგებაში, ისე პრაქტიკულად გამოყენებაში აქაციამახასიათებელია.

კომენსკის თვალსაჩინოების პრინციპის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს უმთავრესად ემპირიზმის ალიარების თეორიის ძირითადი თეზისი, რომ „შემცნებაში არაფერია ისეთი, რაც წინათ არ ყოფილი შეგრძნებაში“. კომენსკი ამ პოზიციიდან გამოქვიდა სულისკვეთებით უდგება მისი თანამედროვე სკოლის კრიტიკას და წერს: „არსად არ ასწავლიან ყველაფერს, არ ასწავლიან მთავარსაც კი.., ვინაიდან „იმას, რაც ნელ-ნელა ძალიან იოლად შეიძლებოდა ჩაგვედო გონებაში, ძალისძალად სჩრიან. იმას, რაც მათი მხედველობისათვის თვალსაჩინოდ უნდა წარმოედგინათ, აწოდებენ ბნელი, არეულ-დარეული, აბურდული სახით, თითქოსდა წმინდა

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XX, 8.

გამოკვანების საშუალებით". ამბობდა რა ამ სიტყვებს, კომენსკის მხედველობაში ჰქონდა არა რომელიმე ერთი საგანი, არამედ ყველა საგანი. „სრულიად არ ასწავლის ფიზიკ. ს თვალსაჩინოების ხერხით, მაგრამ ამ მეცნიერების სწავლებაში ყველა იცავს არისტოტოლეს ან რომელიმე სხვა „ნეოთხზულების“ ცნობილ თხრობასა და კითხვას“ და ა. შ.

რა საშუალებებით ფიქრობს კომენსკი თვალსაჩინო სწავლების პრინციპის განხორციელებას? ამისათვის მას უცილებლად მიაჩნია: 1) რეალური საგნები, ანუ საგნები თავისი ბუნებრივი სახით, 2) სურაოები, რომლებიც ამ საკნებს გამოხატავენ, 3) საგანთა მოდელები, 4) მასწავლებლის ხელმძღვანელობა ამ საგნების შემეცნებაში.

კომენსკი მიუთითებს, რომ თვალსაჩინო სწავლების ნამდვილი გამტარებელი მასწავლებელია. იგი იძლევა რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაუკავშიროს მასწავლებელმა საგანი სიტყვას და რა ეტაპები უნდა გაიაროს სწავლების მთელმა პროცესში.

კომენსკი მოითხოვს: „ის, რასაც ახალგაზრდას შევთავაზებთ შესამეცნებლად, უნდა იყოს საგანი და არა მხოლოდ საგნის ნიმუში; ვიმეორებ, უნდა იყოს მკერივი, ნამდვილი, სასარგებლო საგანი, რომელიც ძლიერად მოქმედებს გრძნობებსა და წარმოსახვაზე“. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ თვალსაჩინოების ობიექტი უნდა იყოს არა ყველა საგანი, რომლებიც თუნდაც შესაფერისია შემეცნების თვალსაზრისით, არამედ მალლოდ სასარგებლო საგნები.

კომენსკი მიუთითებს თვალსაჩინო სწავლების რიგ ცალკეულ მომენტებზე საინტერესოა მისი მითითებები იმის შესახებ, რომ ყველა კლასში იყოს დაკიდებული და გამოყენებული თვალსაჩინო სწავლების ისეთი დიდაქტიკური მასალები, რომლებიც განეკუთვნება მოცემულ საგანსა და მოცემულ კლასს.

გამოდის რა იქიდან, რომ თვალსაჩინოების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებული, ჩქარი, იოლი და საფუძვლიანი სწავლებისათვის, კომენსკი პირდაპირ მოუწოდებს მასწავლებლებს: „დაე, მასწავლებლებისათვის ოქროს წესს წარმოადგენდეს შემდეგი: ყველაფერი, რაც კი შეიძლება, უნდა აღქმულ იქნეს გრძნობათა საშუალებით: ხილული — მხედველობის საშუალებით; სმენადი — სმენის საშუალებით; სუნი — ყნოსვის საშუალებით; გემო — გემოვ-  
3. დ. ლორთქიფანიძე

ნების საშუალებით; შეხებადი — შეხების საშუალებით; თუ რომელიმე საგანი შეიძლება აღქმულ იქნეს ერთბაშად რამდენიმე გრძნობით, მაშინ უნდა ვაქციოთ იგი ერთბაშად რამდენიმე გრძნობის ობიექტად<sup>1</sup>.

საბჭოთა დიდაქტიკა, რომელიც იბრძვის სწავლებაში თვალსაჩინოების როგორც გადაჭარბებით შეფასების, ისე მისი შეუფასებლობის წინააღმდეგ, კომენსკის თვალსაჩინოების პრინციპს საბჭოთა სკოლის ამოცანების თვალსაზრისით უდგება და კრიტიკულად იყენებს ცალკეულ დებულებებს ამ დარგში.

კომენსკი სწავლებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანმიმდევრობისა და სისტემატურობის დაცვას.

თანმიმდევრული. თანდათანობითი სწავლების ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას კომენსკი იძლევა რიგ პრაქტიკულ მითითებებს.

კომენსკის პირველი მოთხოვნა სწავლების თანდათანობითობის გაგებაში იმაში მდგომარეობს, რომ სწავლებისას დადგენილი იყოს დროის მიხედვით სწავლების განაწილების ზუსტი წესი. ამ მოთხოვნას შეიძლება მივაკუთვნოთ მისი დებულებები სწავლების თავის დროზე და გარკვეულ სათებში დაწყების შესახებ — „შრომისათვის განკუთვნილი დრო სწორად უნდა იყოს განაწილებული“.

მეორე მოთხოვნა მდგომარეობს სწავლების შესაბამისობაში მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. ამ მოთხოვნას შეიძლება მივაკუთვნოთ მისი დებულებები განათლების ადრეული ასაკიდან დაწყებისა და განვითარების გარკვეულ საფეხურამდე — მოწიფეულობის ასაკამდე (21 წლამდე) გაგრძელების შესახებ<sup>2</sup>. „სასწავლო მეცანიერობათა მთელი ერთობლიობა გულმოდგინედ უნდა იყოს დაყოველი კლასებად“.

მესამე მოთხოვნაა ის, რომ ყველაფერი ისწავლებოდეს თანმიმდევრობით, დასაწყისიღთვეს დასასრულობდე; ამ მოთხოვნას შეიძლება მივაკუთვნოთ კომენსკის შემდეგი დებულებები და დიდაქტიკური წესები:

- საფუძველი უნდა იყოს ღრმა;
- ყოველივე შემდგომ უნდა ემყარებოდეს წინამავალს;

<sup>1</sup> ი. ა კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თავი XX, 6.

<sup>2</sup> იქვე, თავი XVI, 50; პუნქტების რიგი — 1, 2, 3, 4 და ა. შ. დადგენილია ჩვერ. — დ. ლ.

გ) ყველაფერი უნდა მიმღინარეობდეს განუწყვეტელი თანმიმდევრობით, რათა დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინ და დაიძლეოდეს გზას ხეალინდელისაკენ;

დ) „ის, რაც უნდა გაკეთდეს წინასწარ დასახული გეგმის შესაბამისად, უნდა გაკეთდეს ყოველგვარი შეწყვეტის გარეშე“ (დიდი დიდაქტიკა, XVI, 56).

მეოთხე მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი ისწავლებოდეს ურთიერთკავშირში. ამ მოთხოვნას შეიძლება მივაკუთვნოთ კომენსკის შემდეგი მითითებები:

ა) ყველაფერი, რაც უნდა ვასწავლოთ, საჭიროა ვასწავლოთ, ისე. როგორც იგი არის და როგორც ხდება, ე. ი. მიზეზების ჩენებით, ვინაიდან „რამე რომ იცოდე, ეს იმას ნიშნავს, რომ მეოცნო საგანი მიზეზობრივ კავშირში“ („დიდი დიდაქტიკა“, XVII, 36).

ბ) განსხვავებანი სავნებს შორის გადაცემული უნდა იყოს კარგად, რათა ყველაფერის გაგება იყოს ნათელი („დიდი დიდაქტიკა“, XX, 23).

გ) ყველაფერი, რაც ურთიერთკავშირში იმყოფება, უნდა ისწავლებოდეს ასეთავე კავშირში („დიდი დიდაქტიკა“, XXI, 14).

თანდათანობითობის ამ მოთხოვნათა შეასრულებლად და ჭარმატებული, იოლი, საფუძვლიანი და ჩქარი სწავლების უზრუნველსაყოფად კრ მენსკის აუცილებლად მიაჩია, რომ:

1. მეცადინეობა განაწილებული იყოს იმგვარად, რომ ყოველი წლისათვის, ყოველი ოვისათვის, დღისა და საათისათვის დასხული იყოს გარკვეული სასწავლო ამოცანები, რომელიც წინასწარ უნდა იყოს მასწავლებლის მიერ მოფიქრებული და მოსწავლეთა მიერ შეგნებული;

2. ეს ამოცანები წყდებოდეს ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, უფრო სკორად რომ ვთქვათ, ცალკეული კლასების ამოცანათა შესაბამისად;

3. ერთი საგანი რასწავლებოდეს მანამ, სანამ მას თავიდან ბოლომდე არ შეითვისებენ მოსწავლეები; მეცადინეობა უნდა წარმოებდეს ისე, რომ სწავლის ეს პროცესი წარმოადგენდეს ერთგვარ ენციკლოპედიას, „რომელშიც არატერი იქნება ისეთი, რომ საერთო ძირიდან არ გამოღიოდეს და თავის საკუთარ აღგილზე არ იმყოფებოდეს“;

4. ყველა მეცადინეობა განაწილებული იყოს ისე, რომ „მომდევნონ“, ე. ი. ახალი მასალა მოსწავლეებს მივაწოდოთ მას შემ.

დეგ, როცა წრნა მასალა შეგნებული და შეთვისებულია, ამასთან ერთად ისე, რომ ამ მასალის სწავლება იმავე დროს წარმოადგენ-დეს მოსწავლეთა მეხსიერებაში გავლილი მასალის განმტკიცების საშუალებას, და ა. შ.

5. სწავლება მიმართული იყოს „ზოგადიდან კონკრეტულისაკენ“, „ადვილიდან რთულისაკენ“ „ცნობილიდან უცნობისაკენ“, „მახლობლიდან შორეულისაკენ“ და ა. შ.;

6. ყოველ გაკვეთილზე დაცულ იქნეს მეცადინეობის ის საერთო მსელელობა, რომლის შესახებაც მივუთითებთ კომენსკის სწავლების საფეხურების გარჩევისას.

„ეს თანამიმდევრობა, — ამპობს კომენსკი, — აუცილებლად უნდა დავიცათ ყველგან; გონება ყველგან უნდა გადავიდეს საგნების ისტორიული შემცნებიდან განიერ გაგებამდე, შეძლევ კი ყოველი საგნის მოხმარებამდე“<sup>1</sup>.

7. მასწავლებელმა მოსწავლეთა ყველა ვარჯიშობა „ისე უნდა ჩაატაროს, რომ ყველა შეუმცდარად მიღიოდეს წინ“, „ხომიერი თანდათანობით“, ვარჯიშობათა შეუწყვიტლად.

8. საჭიროა წიგნები უპასუხებლენ თანდათანობის პრინციპს და მოსწავლეები სწავლობდნენ წიგნებს არა მათგან მოწყვეტით და ეპიზოდურად, არამედ თანუათანობით, თავიდან ბოლომდე, სისტემატურად. წიგნების შესწავლისას დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესი: მოსწავლეები ჯერ უნდა სწავლობდნენ მაოლოდ ერთ წიგნს და მისი დამთავრების შემდეგ დაიწყონ მეორე წიგნის შესწავლა.

სწავლება, როგორიც გინდა იყოს ის, შეუძლებელია გარკვეული ვარჯიშის გარეშე. ამიტომ ვა-ჯიშობის პრინციპიც ისეთივე ძველია, როგორც სწავლება და აღზრდა მთლიანად.

სასკოლო სწავლების ისტორიამ არ იცის ცხოვრებისაგან ისეთი მოწყვეტა და ფორმალურ მექანიკური ვარჯიშობანი როგორსაც ადგილი ჰქონდა კომენსკის ეპოქაში. კომენსკი, რომელიც გამოხატავდა ახალი კლასის მოთხოვნებს აღზრდის დარგში, გამოდიოდა სქოლასტიკური დაზეპირების წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ სწავლებას საფუძვლად დასდებოდა შეგნებულობა, ცოდნის გააზრებულობა.

კომენსკი გამოდიოდა მხოლოდ მექანიკური მეხსიერების განვითარების წინააღმდეგ და წერდა: „არავითარ შემთხვევაში არ

<sup>1</sup> Я. А. Коменский, Избр. соч., „Пансофическая школа“, 76.

უნდა გადავტეირთოთ მოსწავლეები და არ ვაიძულოთ ისინი იტან-ჯებოდნენ სახლში ზეპირად დასწავლით; ჩვენ მაოლოდ ნათლად გასაგები მასალის საკმაო და სასიამოვნო განმეორებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იგი თავისთავად განმტკიცდეს მეხსიერებაში<sup>1</sup>, ვინაიდან „გონებაში საფუძვლიანად აღიბეჭდება მთოლოდ ის, რაც კარგად არის გაგებული და გულმოდგინედაა განმტკიცებული მეხსიერების მიერ“.

სწავლებაში შევნებულობისა და მისი დანიშნულების ასეთი გაგებიდან გამ-მღინარე კომენსკი იძლევა რიგ მითითებებსა და წესებს, რომლებიც ეხება ვარჯიშობებსა და სწავლებას საერთოდ<sup>2</sup>.

1. სწავლება არ შეიძლება საფუძვლიანი გახდეს, თუ რაც შეიძლება ხშირად და წესიერად არ ვაწარმოებთ განმეორებასა და ვარჯიშს“ („დიდი დიდაქტიკა“, XVII, 43).

2. „დამწყებთა პირველი ვარჯიშობანი ნაცნობ მასალაზე უნდა წარმოებდეს“ („დიდი დიდაქტიკა“, XXI, 9).

3 „ვარჯიშობა უნდა იწევბოდეს ელემენტებისაგან და არა საქმის მთლიანი შესრულებისაგან“ („დიდი დიდაქტიკა“, XXI, 8).

4. „ერთსა და იმავე სკოლაში ყველა სახის ვარჯიშობისათვის უნდა არსებობდეს ერთი და იგივე წესი და მეთოდი“ („დიდი დიდაქტიკა“, XVII, 48).

5. „მოსწავლე არ უნდა ვაიძულოთ დაისწავლოს რაიმე, გარდა იმისა, რაც მას კარგად გაიგო. აგრეთვე არათერი არ უნდა მოვთხოვთ მ-სწავლის მეხსიერებას გარდა იმისა, რაც, უცველი ნიშნების მიხედვით, მას შეთვისებული აქვს“ („დიდი დიდაქტიკა“, XVII, 37, II).

6. .... მოსწავლემ წერა უნდა ისწავლოს წერის საშუალებით, შეტყველება — მეტყველების საშუალებით, — მღერა — მღერის საშუალებით, დასკვნების გამოტანა — დასკვნათა გაპოტანის საშუალებით და ა. შ.; ამიგად, სკოლა სხვა არა უნდა იყოს ა. თუ არა სახელოსნო, სადაც მუშაობა გაჩალებული. სწორედ მაშინ საკუთარი ნაყოფიერი გამოცდილება დაარწმუნებს ყველას შემდეგი გამოთქმის სიმართლეში: მუშაობით ვვითარდებით“ („დიდი დიდაქტიკა“, XXX, 5).

7. „გაკვეთილები“ (ვარჯიშობანი) უნდა შეესაბამებოდეს საშუალო უნარს“ (ბანსოფიური სკოლა, 84).

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, XVIII, 33.

2 უნდებების რიგი (1, 2, 3 და ა. შ.) პირობით დადგენილია ჩვენს მიგრ. — დ. ლ.

8. „მოსწავლეს უნდა მივცეთ ახალ-ახალი მაგალითები; თითოეული მაგალითი მან იმ ნიმუშებს უნდა შეუკუსოს და მიბაძვის გზით შექმნას მსგავსი რამ“ („დიდი დიდაქტიკა“, XXI, 16).

9. „თითოეული კლ-სის მასწავლებელს შეუძლია შემოიღოს თავის მოსწავლეთა შორის ვარჯიშობის ეს ჩინებული სახე; ეს მისთვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი იქნება, როცა შემდევნაირად მოიქცევა: ყოველ გაკვეთილზე, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოქლევდება გადასცეს შესასწავლ მასალას, ჯეროვნად აუხსნის სიტყვათა მნიშვნელობას და თვალსაჩინოდ განუმარტავს, თუ რა გამოყენება აქვა ამ მასალას, მაშიცე უბრძანებს ერთ ერთ მოსწავლეს, რომ ადგეა და იმავე თანმიმდევრობით გაიმეორეს ყველაფერი, რაც მასწავლებელმა თქვა (თითქოს ახლა თვითონ არის მასწავლებელი), ახსნას წესები იმავე სიტყვებით და უჩვენოს იმავე მაგალითებზე მათი პრაქტიკული გამოყენება; თუ მოსწავლე შეცდამას დაუშვებს, მასწავლებელმა უნდა გაუსწოროს. ამის შემდეგ მასწავლებელმა იგივე უნდა გაამეორებინოს მეორე მოსწავლეს, ხოლო დანარჩენები მას ყურს უგდებენ; ასევე ამეორებინებს იგი მესამეს, მეოთხეს და ყველას, ვისთვისაც ეს აუცილებელია, სანამ არ გაპოირევება, რომ ყველამ სწორად გაიგო“ და ა. შ.

„ასეთი ვარჯიშობა შემდეგ ხუთ განსაკუთრებულ სარგებლობას მოგვიტანს:

I. მასწავლებელი ყოველთვის შეძლებს მოსწავლეთა ყურადღება მიიპყროს.

II. მასწავლებელი უფრო ღრმად დარწმუნდება იმაში, რომ მის მიერ მიწოდებული მთელი მასალა ყველამ სწორად გაიგო...

III. როდესაც ერთი და იგივე მასალა რამდენჯერმე იქნება განმეორებული, ყველაზე ჩამორჩენილებიც კი ბოლოს იმდენად გაიგდენ გაკვეთილს, რომ შეძლებენ სხვების თანაბრად წავიდნენ წინ...

IV. ამ მრავალგზისი განმეორების წყალობით ყველა მოსწავლე გაკვეთილს უკეთ შეითვისებს, ვიდრე სახლში მრავალი ტანჯვის შემდეგ...

V. როცა, ამგვარად, მოსწავლეს მუდამ ექნება საშუალება შეასრულოს, ასე ვთქვათ, მასწავლებლის მოვალეობა, ის იგრძნობს ერთგვარ მინეობას და სწავლის ხალისს და გამოუმუშავდება გამზედაობა, რომ საზოგადოების წინაშე გატაცებით ილაპარაკოს ყო-

ველგვარ მნიშვნელოვან საგანზე, ხოლო ეს განსაკუთრებით სასარ-  
გებლო იქნება ცხოვრებაში“ („დიდი დიდაქტიკა“, XVIII. 45 — 46).

10. ვარჯიშობანი უნდა გაკრძელდეს მანამდე, სანამ ისინი არ  
მიიჩვენენ მოსწავლეებს ხელოკნების სრულ დაუფლებამდე („დიდი  
დიდაქტიკა“, XXI, 17).

11. „ხელოვნების სწავლება (როცა იარაღი, მატერია და ნი-  
მუში მოცემულია) მოითხოვს კიდევ: 1. მონაცემთა სწორ გამოყე-  
ნებას, 2. კონივრულ ხელმძღვანელობას, 3. ხშირ ვარჯიშობას. ეს  
ნიშნავს, რომ მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ, თუ როდის და რო-  
გორ გამოიყენოს თითოეული ამ პირობათაგანი, ხოლო მათი გა-  
მოყენების პროცესში ვუხელ ძლვანელოთ მას, რათა არ შეცდეს ან,  
თუ შეცდომა დაუშვა, გაასწოროს იგი. დაბოლოს, რომ მაჲინაც  
კი, როცა იგი შეცდომას უშვებს, ისევ განაგრძოს მუშაობა მა-  
ნამდე, სანამ არ ისწავლის უშე კდომოდ, მტკიცედ და ადვილად  
კეთებას“ („დიდი დიდაქტიკა“, XXI, 3).

12. „ყოველი ენა პრაქტიკის საშუალებით უკეთ შეისწავლება,  
ვიდრე წესების საშუალებით“ („დრი დიდაქტიკა“, XXII. 11).

13. „წესები უნდა შეველოდეს და განამტკიცებდეს პრაქტიკას“  
(„დიდი დიდაქტიკა“, XXII, 12).

14. „როგორც წერას ვსწავლობთ წერით, ხატვით, ხატვით,  
მღერას — სიმღერით, ასევე საქმიანობას ვსწავლობთ საქმიანობით  
და სხვადასხვა მოქმედების შესოულებით სწორედ იმ დროს, როცა  
მათ ვას უულებთ.

აქედან დებულება: „...მუშაობით თვით ჩვენვე ვვითარდებით“  
(„პანსოფიური სკოლა“, 81).

15. „მოსწავლეები უნდა იკეთებდნენ არა იმას, რაც მათ მოს-  
წონთ, არამედ იმას, რასაც აწესებენ კანონთა განმმარტებელი მას-  
წავლებლები“ („კეთილშ. სკოლის კან.“, „დიდი დიდაქტიკა“, XI,  
1, 2).

16. „კარგია, თუ ყოველი კვირის ბოლოს ან არდადაგების წინ,  
როგორც ამას მასწავლებელი საჭიროდ სცნობს, მოწყობს განხეო-  
რება“ („პანსოფიური სკოლა“, 75).

17. „ცუდი არ იქნება, თუ, გარდა ჩვეულებრივისა, უჩვეულო  
ვარჯიშობაც მოწყობა“ (იქვე, 78).

18. „ვარჯიშობა უნდა წარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც  
წარმოებს სწავლება“ (იქვე, 79) და ა. შ.

ვარჯიშობათა მნიშვნელობისა და წარმოების შესახებ მოცემული  
ეს დებულებები და წესები წარმოადგენს კომენსკის უძვირფასეს  
მითითებებს, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუ-  
კარგავთ. მიუხედავად იმისა რომ კომენსკი ნაწილობრივ აიგივებს  
კი ჯეც ცოდნასა და ჩვეულებას და აქედან ვარჯიშობა მისთვის  
ზოგჯერ თვითმიზნადაც კი იქცევა, ჩვენი სკოლა (საბჭოთა სკო-  
ლის დიდაქტიკური მოთხოვნების შესაბამისად) კარგად იყენებს  
კომენსკის მიერ წამოყენებულ ცალკეულ წესებს. ასეთია, მაგალი-  
თად, წესები ხშირი განმეორების შესახებ, ასაკობრივ თავისებურე-  
ბებთან და სასწავლო მასალის ზასიათთან ვარჯიშობათა შესაბამი-  
სობის, მოსწავლეთა, მიერ სავარჯიშოთა მასალის შეთვისების, ვარ-  
ჯიშობაში მოსწავლებისადმი ხელმძღვანელობის, მასწავლებლის  
მიერ მოსწავლეთა ვარჯიშობების აღრიცხვის შესახებ და ა. შ.  
(ია. პუნქტები 1, 2, 5, 7, 8, 10, 13, 14, 18).

\* \* \*

როგორც ცნობილია, პედაგოგიური პროცესი ვარაუდობს სას-  
წავლო მეცადინეობათა ორგანიზაციის გარევეულ ფორმას. უფრო  
მეტიც, სწავლების ხარისხი მთლიანად საგრძნობად არის ჯანპი-  
რობებული თვით სასწავლო მეცადინეობათა ფორმით. კომენსკის  
ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა განაზო-  
გადა დიდაქტიკაში საკლასო საგაკვეთილო სისტემის პირველი გა-  
მოცდილება, რომელიც დაგროვდა მის დროს, განსაკუთრებით უკ-  
რაინისა და ბელორუსის „საძმო სკოლებში“, და დაამუშავა სწავ-  
ლების საქლასო-საგაკვეთილო სისტემის ძირითადი პრიციპული  
საკითხები.

კომენსკიმ პირველმა დაასაბუთა მეცადინეობათა საკლასო-სა-  
გაკვეთილო ფორმა სკოლაში მტკიცედ რეგლამენტებული სასწავლო  
რეგიმის დაცვით.

კომენსკი იყენებს რიგ დებულებებს გაკვეთილისა და მისი აგე-  
ბის მეთოდიების შესახებ.

მოვიყვანოთ კომენსკის რამდენიმე ძირითადი დებულება და მი-  
თითება:

„რამდენი კლასიცაა, იმდენივე უნდა იყოს სასწავლო ოთახი“.

„ყოველი სასწავლო ოთახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კა-  
თედრით და სკამების საქმარისი რაოდენობით. სკამები ისე უნდა  
იყოს დალაგებული, რომ მასწავლებელს თვალწინ ჰყავდეს ყველა  
მოსწავლე“.

კათედრა უნდა იყოს მოთავსებული ან ფანჯარასთან, ანდა ფანჯრებს. შორის, მხოლოდ მათ პირდაპირ ისე, რომ სინათლე, რომელიც ანათებს მოსწავლეებს ზურგიდან, დასანახავად ხდიდეს მასწავლებელს ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი დაფარებული იყო.

„საკლასო ოთახებში ყველაფერი სუფთად უნდა იყოს შენახული, თუ შესაძლებელია, ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს, რათა მოსწავლეებში აღიზარდოს სისუფთავისადმი სიყვარული“.

„ყოველ საათს უნდა ჰქონდეს თავისი განსაზღვრული ამოცანა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გადაჭრილი“.

ბავშვებს „ყოველი საათის შემდეგ ეძლევათ დასვენება“, როდესაც „უნდა ითამაშონ ისე, რომ თამაში უფრო სერიოზული საქმის მაგალითს წარმოადგენდეს“.

„გარკვეულ დროს, მიცემული ნიშნის მიხედვით, ყველა მაშინვე უნდა წავიდეს სასწავლო ოთახში და დაიკავოს თავისი და არა სხვისი ადგილი“.

„როდესაც მასწავლებელი ლაპარაკობს, რაიმეს გადასცემს მოსწავლეებს ან უხსნის, ყველა უნდა უსმენდეს დაძაბული ყურადღებით“.

„თუ ის (მასწავლებელი) აყენებს რაიმე საკითხს, მაშინ ყველამ თანაბრად უნდა დაძაბოს ყურადღება, რომ მასწავლებლის შეკითხვაზე ყველას მზად ჰქონდეს და შეეძლოს პასუხის მიცემა (კითხვის ფრონტალური დასმის სისტემა — დ. ლ.).

„ჩათვალე დაკარგულად ის საათი, რომელშიც არ გისწავლია არაფერი ახალი და არაფერი არ მიგიმატებია შენი ცოდნისათვის“, და სხვ.

\* \* \*

დისკიპლინისა და გარკვეული წესრიგის გარეშე არავითარი სწავლება და აღზრდა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. დისკიპლინის ეს როლი კომენსკის შეგნებული ჰქონდა სწავლების თავისი პრინციპების შესაბამისად და ამ საკითხს აყენებდა სულ სხვა სიბრტყეზე, ვიდრე იგი დაყენებული იყო სქოლასტიკურ სკოლაში.

კომენსკის კარგად ესმოდა, რომ მოსწავლეთა შორის გარკვეული მტკიცე დისკიპლინის შეუქმნელად ყოვლად შეუძლებელია

საფუძვლიანი, წარმატებული, უმოქლესი გზით და აღვილი სწავლების განხორციელება. „სკოლა უდისციპლინობრივი იგივეა, რაც წისკვილი — უწყლოდ“, — ამბობს კომენსკი. და „როგორც წისქვილი მაშინვე გაჩერდება, თუ მას წყალი შევუწყიტეთ, ისე სკოლაშიც ყოველი საქმე აუცილებლად გაჩერდება, თუ დისციპლინა მოშალა“<sup>1</sup>.

სწავლების ასეთი რეჟიმისა და დისციპლინის დაყენების დროს ლაპარაკიც არ შეიძლება შეგნებულსა და იღმზრდელობით დისციპლინაზე. წკებლაზე დამყარებული დისციპლინა კომენსკის დროინდელ სკოლაში საუკეთესო საშუალება იყო ადამიანის გონებაზე მომავრდინებელი გავლენის მოსახლენად, ბავშვში სიცოცხლისა და შემოქმედების ყოველგვარი ნიშანწყლის მოსასპობად.

ზემოქმედების ასეთი მხეცური ზომების გამოყენების ჭინააღმდეგ მკვეთრად და საფუძვლიანად გაიღავრა კომენსკიმ. „დარტყმას და წიხლს, — ამბობს კომენსკი, — არ შეუძლია ჩაუნერგოს მეცნიერების სიყვარული. სამაგიეროდ ის საუკეთესო საშუალებაა გონებრივი სიძულვილისა და ზიზლის აღსაძერელად მეცნიერების მიმართ“. კომენსკი მიუთიოებს, რომ „თუ მეცადინეობა სწორად არის დაყენებული, მაშინ მას თავისთავად აქვს მიმზიდველი ძალა გონებისათვის და ის თავისი ხასიათით მიიზიდავს ყველას (გარდა ზოგიერთი მახინჯისა). თუ საქმე სხვაგვარ სახეს იღებს, ეს არის არა მოსწავლეთა ბრალი, არამედ მასწავლებლებისა, და თუ ჩემ ვერ შევძლებთ მივიზიდოთ ჩვენი ხელოვნებით სხვების გონება, მაშინ ძალდატანება მიზნის მისაღწევად სრულიად გაუმართოვებელი საშუალება იქნება“<sup>2</sup>. ამგვარად, კომენსკის სწავლების დისციპლინაში შეაქვს შეგნებულობის ელემენტი, იგი მთლიანად იზიარებს ელგარდ ლუბინის აზრს და ამბობს: „მე გადაჭრით ვადგივარ იმ აზრს, რომ წკებლა და ჯოხს, მონობის ამ იარაღებს, რომლებიც სავსებით შეუფერებელია თავისუფალი ადამიანებისათვის, სრულიად არ უნდა ჰქონდეს აღგილი სკოლაში, ისინი უნდა განიდევნოს იქიდან“<sup>3</sup>.

დისციპლინის დაცვისა და აღზრდის ძირითად ღონისძიებას, კომენსკის აზრით, წარმოადგენს დარტყმუნება და სწავლების აღმზრდელობითი ხასიათი, რაც პედაგოგმა თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს და დაიცვას.

<sup>1</sup> ი. ა. კომენსკი, „დიდი დიდაჭმიკია“, XXVI, 1.

<sup>2</sup> იქვე, XXVI, 12.

მთელი პედაგოგიური პროცესის სულსა და გულს, კომენსკის აზრით, მასწავლებელი წარმოადგენს.


კომენსკი სწორად აკრიტიკებდა მისი თანამედროვე სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც მოსწავლეებს კი არ ასწავლიდნენ, არამედ ასახიჩრებდნენ. თავის წიგნში „წუთისოფულის ლაბირინთი და გულის სამოთხე“ მან მკაცრად გააკრიტიკა მასწავლებლების საქმიანობა, დასკინა მათ უნიჭო აღმზრდელებს, რომლებსაც არა აქვთ ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და ცხოვრებისათვის მომზადების უნარი. „ხელოსნები უკეთ ასრულებენ თავიანთ საქმეს, ვიდრე მასწავლებლები, — ამბობს. კომენსკი, — ასწავლიან იმას, რაც თვითონ არ იციან, სწავლებას აწარმოებენ მოსწავლეთა გონების მომაკვდინებელი მეთოდებით, მასწავლებლად მსახურობენ არა მოწოდების გულისათვის, არა კაცობრიობის წინაშე მოვალეობის შეგნებულად შესრულებისათვის, არამედ ხელფასისა და გამორჩენისათვის, ბავშვებს ეპყრობიან არა სიყვარულით, არამედ წკეპლითა და ჯოხით“ და ა. შ. — ასე ახასიათებს კომენსკი არსებულ მდგომარეობას.

ამის საწინააღმდეგოდ კომენსკი აყენებს საკითხს ახალი მასწავლებლის შესახებ. „უნდა გამოვძებნოთ შესაფერისი მასწავლებლები, რომლებსაც უნარი ექნებათ შეასრულონ ასეთი დიდი ამოცანა... არავის არ შეუძლია ადამიანი გააბრძენოს, გარდა ბრძენისა, არავის არ შეუძლია ადამიანი მშევრმეტყველი გახადოს, გარდა მშევრმეტყველისა, არავის არ შეუძლია იგი ზნეობრივი ან ლეთისმოშიში გახადოს, თუ არა სწორედ ასეთმა ადამიანმა, არავის არ შეუძლია იგი გახადოს მათემატიკოსი, ბუნებისმეტყველი ან მეტაფიზიკოსი, გარდა ამ მეცნიერებათა მცოდნე ადამიანისა. ერთი სიტყვით, არავის არ შეუძლია სხვა ადამიანი პანსოფოსი, ბრძენთა ბრძენი გახადოს, თუ არა ისევ პანსოფოსმა“<sup>1</sup>.

დიდად აფასებს რა მასწავლებლის როლს, კომენსკი წერს: „მათ (მასწავლებლებს. — დ. ლ.) მინდობილი აქვთ უმაღლესი თანამდებობა, რომელზედაც უფრო დიდი არაფერი არ შეიძლება იყოს ამქვეყნად“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Я. А. Коменский, Избр. пед. соч., т. II, „Пансофическая школа“, 193, п. 13.

<sup>2</sup> Я. А. Коменский, Избр. соч., т. II, „Законы хорошо организованной школы“, XXI, 1, 2.



ამ დებულებიდან გამომდინარე კომენსკი მასწავლებელს უკანებს შემდეგ მოთხოვნებს: „მასწავლებლები უნდა იყვნენ... პატიოლანი, საქმიანი ადამიანები, რომლებსაც აქვთ თვისის საქმისაღმი მოწოდება. მასწავლებლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი შრომა ემსახურება „ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობას<sup>1</sup>“, მასწავლებლებმა თავიანთი მაგალითით უნდა გაამდიდრონ მოსწავლები ცოდნით, მათ თვითონ უნდა ისწავლონ, ვინაიდან „ვინც სხვებს ასწავლის, თვითონაც სწავლობს“ („დიდი დიდაქტიკა“, XXII, 44) და სხვ.

სწავლების პროცესში მასწავლებელმა, კომენსკის აზრით, პირველ რიგში უნდა გამოიწყიოს ინტერესი და ყურადღება გაკვეთილის ამოცანის შესრულებისაღმი. მოსწავლეებს გააცნოს, უჩვენოს და აუსწენას მასალა, მოაწყოს მოსწავლეთა მუშაობა წიგნზე მოსწავლეებს სისტემატურად დაუსვას კითხვები, მოისმინოს პასუხები და მათზე რეაგირება მოახდინოს სათანადო შესწორებებისა და მითითებების მიცემით, გაკვეთილზე შეინარჩუნოს დისკიპლინა და ინტერესი, კონტროლი გაუწიოს და შეამოწმოს მოსწავლეთა ნამუშევრები და ცოდნა, ამასთან დაეყრდნოს საშუალო მოსწავლეებს, მოაწყოს მოსწავლეთა ვარჯიშობა ცოდნის განსამტკიცებლად, უხელმძღვანელოს მას და ა. შ. ამისათვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ სწავლების მეთოდსაც.

მაგრამ განა შეიძლებოდა გამოძებნილიყო ისეთი მასწავლებლები და ისიც იმ რაოდენობით, როგორიც სჭირდებოდა კომენსკის თავისი პანსოფიური გეგმისათვის, საყოველთაო სწავლების გატარებისათვის? ამ მეტისმეტად რთული მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს კომენსკი ხედავდა ისეთი მეთოდისა და სახელმძღვანელოების შექმნაში, რომლებსაც შეეძლებოდათ ყოველი მსურველისაგან გამოეყვანათ შესაფერისი კანდიდატი სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის, რომ „წარმატებით სწავლება შეძლებოდათ იმათაც. ვინც ბუნებას არ დაუჯილდოებია სწავლების ნიჭით, ვინაიდან მასწავლებელს თვითონ კი არ მოუხდება იმის გამოგონება, თუ რა და როგორ ასწავლოს, არამედ მან მხოლოდ უნდა შთააგონოს და ჩაუნერგოს ახალგაზრდობას უკვე გამზადებული განათლება მზამზარეული და მის ხელთ არსებული საშუალებებით. ისე როგორც ყოველ ორგანისტს შეუძლია ნოტების მიხედვით თავი-

<sup>1</sup> Я. А. Коменский, Издр. иед. соч., т. II, „Законы хорошо организованной школы“, XXI, 1, 2.

სუფლად დაუკრას ყველა სიმფონია, რომელიც მას შეიძლება არც  
ჰქონდეს შეთხზული ან ვერც იმღეროს, ასევე მასწავლებელს შეუძლია  
ასწავლოს ყველაფერი, თუკი მას ხელთ ექნება ყველა სას-  
წავლო საგნისა და სწავლების ყველა ხერხის, ასე ვთქვათ, ერთ-  
გვარი პარტიტურა“.

ასეთია კომენსკის შეხედულებანი მასწავლებლის როლსა და ხა-  
რისხზე. როგორც ვხედავთ, კომენსკი, რომელიც ბრძოლას ეწევა  
სქოლასტრიური სკოლის წინააღმდეგ, პროგრესულ მოთხოვნებს  
უყენებს მასწავლებლის როლს სწავლებაში და დაბეჯითებით იცავს  
იმ აზრს, რომ მან ბავშვებს უნდა მისცეს რეალური და ღრმა  
ცოდნა.

\* \* \*

ვაფასებთ რა საერთოდ კომენსკის პედაგოგიკური მოძღვრების  
როლსა და მნიშვნელობას, ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია გა-  
ვიმეოროთ მ. კალინინის სიტყვები დიდი რუსი პედაგოგის უშინს-  
კის შესახებ: „ჩვენში უკვე სოციალისტური წყობილებაა, მაგრამ  
მე ეხედავ, რომ ის იდეები, რომელთაც თავის დროზე უშინსკი  
ავითარებდა და რომლებიც მე აქ წამოვაყენე პრაქტიკულ წინადა-  
დებათა სახით, — ეს ნამდვილი პედაგოგიური იდეებია. მეტიც, მე  
ვფიქრობ მათი სრული განხორციელება მხოლოდ ჩვენს სოციალის-  
ტურ საზოგადოებაში შეიძლება“. და რაც უფრო მეტად განვი-  
თარდება და სრულყოფილი იქნება კომუნისტური აღზრდის თეორია  
და პრაქტიკა, მით უფრო და უფრო გაიზრდება ჩეხი ხალხის დიდი  
შეიძლის, პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლის, „ხალხთა მას-  
წავლებლის“ იან ამოს კომენსკის მნიშვნელობა და სახელი.

სავსებით მართალია ცნობილი ჩეხი პედაგოგი და მეცნიერი  
აკადემიკოსი ოტაკარ ხლუბი, რომელიც ამბობს: „კომენსკი და  
მისი შემოქმედების მემკვიდრეობა დიდ ინტერესს არა მარ-  
ტო ჩვენში, ჩეხოსლოვაკიაში, არამედ საბჭოთა კავშირსა და სხვა  
სახელმწიფოებშიც; მისი აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნე-  
ლობა, მისი სურვილი ადამიანთა ურთიერთობის გაუმჯობესებისა  
და მისი მისწრაფება მშვიდობისაკენ, რაც დაკავშირებულია პი-  
როვნების ყოველმხრივ განვითარების მის მიერვე წამოყენებულ  
იდეასთან, — ყოველივე ეს გვიჩვენებს ხალხთა მასწავლებლის საქ-  
მეების ცხოველმყოფელობას. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს  
განზრახული, რომ კომენსკის შემოქმედება მივიღოთ აღზრდის ნორ-

მაღ და ნიმუშად; აუცილებელია ერთმანეთისაგან ვამოვყოთ ის, რაც კომენსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში არის ცოცხალი და ის, რაც მკვდარია, განვითარებოთ, თუ მის ზა პრინციპებზე უნდა ვთქვათ უარი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პედაგოგიკური შეკნიერების თვალსაზრისით”.

დიდმა საბჭოთა პედაგოგმა ნ. კ. კრუპსკაიამ მაღალი შეფასება მისცა იან ამოს კომენსკის პედაგოგიკურ მოძღვრებას და ხაზი გაუსვა მის დიდ მნიშვნელობას ახალი, სოციალისტური სკოლისა და პედაგოგიკისათვის. მის ჩანაწერებში, რომელიც წინ უძლოდა პირველ მარქსისტულ გამოკვლევას პედაგოგიკის ისტორიის დარგში—“სახალხო განათლება და დემოკრატია”, გამოკვლევას, რომელმაც ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება დამსახურა, იან ამოს კომენსკის შესახებ ნათქვამია: „მას აქვს ძალიან ბევრი რამ ისეთი, რაც ძეირულსაია ჩვენთვის სოციალიზმის თვალსაზრისით. ეკუთვნოდა ის ბოჭემის ძმათა საზოგადოებას (გუსის მიმდევარია), განიცადა 30 წლიანი ომი. დევნილმა, ბევრი დრო დაჭყო სხვადასხვა ქვეყანაში. მოზავიელი ძები ელოდნენ, რომ დედამიწაზე სამოთხის დრო დადგებოდა (ქილიაზმი). კომენსკი იღწვოდა ქვეყანაზე საყოველთაო მშვიდობისა და ბედნიერების დამყარებისათვის. ამისათვის მას სურდა შეექმნა ერთიანი მეცნიერება და სკოლა, მსოფლიო ენა—ლათინური. კომენსკისათვის უცხოა ასკეტიზმი. ის წინააღმდეგია რელიგიური და ნაციონალური ჩაგვრის, წინააღმდეგია წოდებრივი სკოლის, კოდნის წინაშე ორთავე სქესი თანასწორ-უფლებიანია, მოითხოვს ერთნაირ ზრუნვას ნიჭიერებსა და ნაკლებ ნიჭიერების სწავლისათვის. „საყოველთაო ხელოვნება ყველას ყოველივე ვასწავლოთ“. სკოლა ერთიანია, საყოველთაოა. ქადაგებდა ნამდვილი ფართო დემოკრატიზმის იდეებს. მოითხოვს საზოგადოებრივ სკოლას, სკოლაში ბაგშვები სწავლობდნ საზოგადოებრივ მოვალეობას, მოითხოვს თავისუფალ სკოლას („ყველა-უნდა მიმდინარეობდეს თავისუფლად, დაე მოისპოს ყოველგარი ძალდატანება“—აღნიშნულია „დიდი დიდაქტიკის თავისურცელზე). მომხრეა ემპირიზმისა: „არაფერი შეიძლება იყო გონიგბაში, რაც წინასწარ არ იყო მოცემული შეგრძნებაში“ და სხვ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მასალა მოვაწოდა რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ-მა წევრმა პროფესორმა ნ. ა. კონსტანტინოვმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას უძლენით. მასალა ინახება ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ არქივში, ფ. 5445, აღწერა 1.

ეჭვი არ არის, რომ საიუბილეო ზეიმი, რომელიც 1956 — 1958  
წლებში ტარდება ი. ა. კომენსკის დაბადებიდან 365 წლისთავთან  
დაკავშირებით, დიდი და წასწევს წინ მისი იდეების შესწავლისა და  
ათვისების საქმეს.

მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკური მეცნიერება დიდი სი-  
ყვარულით სწავლობდა, სწავლობს და მომავალშიც შეისწავლის  
დიდი პედაგოგის, მოაზროვნის, დემოკრატ-ჰუმანისტის იან ამოს  
კომენსკის მეცნიერულ-პედაგოგიკურ მემკვიდრეობას, რათა ამ გზით  
კიდევ უფრო სრულყოს და გაამდიდროს პედაგოგიური, ოეორია  
და პრაქტიკა.

---



აეტორი — დავით თანხებეგ-ძე ლორთქიფანიძე  
იბეჭდება პედაგოგიკის სექციის ბიუროს დადგენილებით  
რედაქტორი — დოკ. ხ. ხიგუა

გადაეცა წარმოებას 11/III-57; ხელმოწერილია დასა-  
ბეჭდად 3/V-57 წ; ანაწყობის ზომა  $6 \times 9,5$ ; ქაღალდის  
ზომა  $60 \times 84$ ; ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3;  
ტირაჟი 10.000; უე 01659; შეკ. № 280;  
ფასი 1 მან.

---

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფგამოცემლობის 1-ლი სტამბა.  
თბილისი, ორჯონიქიძის ქ., № 50.

I-ая типография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

ფასი 1 გან.

13



83

Проф. Д. О. ЛОРДКИПАНИДЗЕ

Великий чешский педагог-классик

Ян Амо<sup>с</sup> Коменский

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению

политических и научных знаний

Грузинской ССР

Тбилиси

1957